



ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზათი №6. ივნისი. 2015.

## სელიმ ხიმშიაშვილის ტრაგიკული აღსასრულიდან 200 წლისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია



სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ოსმალთაგან განთავისუფლების ბრძოლის წინამძღოლის სელიმ ხიმშიაშვილის ტრაგიკული აღსასრულიდან 200 წლისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია გაიხსნა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში. სესიის მონაწილეებს უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, ასოცირებული პროფესორი მერაბ ხალვაში, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი, აკადემიკოსი გურამ ლორთქიფანიძე, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დირექტორი როინ მალაყმაძე, სტამბოლის ქართველთა კულტურის ცენტრის თავმჯდომარე სეზენ-გონენჩი ოქჩანი, სტამბოლის ქართველთა სათვისტომოს წარმომადგენელი მუსტაფა იაქუთი (გურამ ხიმშიაშვილი) და ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ავთანდილ ნიკოლაიშვილი მიესალმნენ. კონფერენციაზე ქართველმა და თურქმა მკვლევრებმა მოხსენებები წარმოადგინეს სელიმ ხიმშიაშვილი ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის პროგრამა  
1. პროფესორი ბიჭიკო დიასამიძე - სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლა XVII-XVIII საუკუნეებში;  
2. აკადემიკოსი გურამ ლორთქიფანიძე - ხიმშიაშვილების საგვარეულო აჰმედ აჯარის ნიგნის „ხიმშიაშვილების“ მიხედვით;  
3. პროფესორი რამაზ სურმანიძე - სელიმ ხიმშიაშვილი - სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ოსმალთაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლის წინამძღოლი;

ვისუფლებისათვის ბრძოლის წინამძღოლი;  
4. პროფესორი ოთარ თურმანიძე - ხიმშიაშვილები - XIX საუკუნის პირველი ნახევრის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში;  
5. მუსტაფა იაქუთი (გურამ ხიმშიაშვილი) - ხიმშიაშვილთა გვარის ისტორიიდან;  
6. ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი ოლეგ ჯიბაშვილი - ხიმშიაშვილთა საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობანი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლის წლებში;  
7. პროფესორი ოთარ გოგოლიშვილი - შერიფ ხიმშიაშვილი და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს „გამოსხნა-აღდგომის“ განხორციელება;  
8. პროფესორი შუშანა ფუტყარაძე - სახელოვანი ქალები ხიმშიაშვილთა ოჯახებიდან;  
9. პროფესორი ნუგზარ ზოსიძე - შერიფ ხიმშიაშვილის მემკვიდრეებისა და სხვა ქართველ მამულიშვილთა ბრძოლა აჭარის საქართველოს შემადგენლობაში დარჩენისათვის;  
10. პროფესორი ავთანდილ ნიკოლაიშვილი - ხიმშიაშვილთა ეროვნულ-პოლიტიკური თვალთახედვის წარმომჩენი პასაჟები მიხეილ ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელში“;  
11. პროფესორი სულხან კუპრაშვილი - სამხრეთ-თურქეთის ურთიერთობები XVIII—XIX საუკუნეების მიჯნაზე და სამხრეთ-დასავლეთი საქართველო;  
12. პროფესორი სერგო დუმბაძე - სახელოვანი წინაპრები მომდევნო თაობათა ხსოვნაში.

## ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს აღმინისტრაციის ახალი ხელმძღვანელი ჰყავს

მიმდინარე წლის 23 ივნისს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ რვა ხმით ადმინისტრაციის ხელმძღვანელად ჯემალ ანანიძე აირჩია. წარმომადგენლობითი საბჭოს ფარული კენჭისყრის შედეგების თანახმად, უნივერსიტეტის კანცლერი ჯემალ ანანიძე გახდა.

— ბატონო ჯემალ, თქვენ უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ ერთხმად ავირჩიეთ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე. ასევე, ხმათა უმრავლესობით ნდობა გამოგიცხადათ უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომაც. რას მოიცავდა თქვენ მიერ წარდგენილი სამოქმედო გეგმა, რომელიც საბჭოს წევრთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ მოინდონა?

— მოქმედი წესების შესაბამისად, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე კონკურსში მონაწილე პირს უნდა წარედგინა სამოქმედო გეგმა, სადაც აისახებოდა უნივერსიტეტის მომავალი განვითარების მიმართულებები. მართალია, უნივერსიტეტში ბევრი რამ შეიცვალა ბოლო 10 წლის განმავლობაში, მაგრამ ეს არის სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულება, რომელსაც მუდმივად ესაჭიროება განვითარება და მიუხედავად წარმატებებისა, ყოველთვის ჩნდება ახალი გადასაწყვეტი პრობლემები. ხანდახან ამას ემატება წლების განმავლობაში დაგროვილი გადაუწყვეტელი პრობლემებიც. ფაქტობრივად, ოც წელზე მეტია ვმუშაობ უნივერსიტეტში და ეს პრობლემები ჩემთვისაც იყო ცნობილი ამა თუ იმ ფაქულტეტთან მიმართებაში. ამიტომაც სამოქმედო გეგმაში სწორედ ამ ტიპის პრობლემების უმოკლეს ვადაში გადაწყვეტას მივაქციე ყურადღება, რომელიც ითვალისწინებს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ლაბორატორიების, სასწავლო-სამეცნიერო კაბინეტების, სასწავლო-საცდელი სივრცეების განახლებასა და შექმნას ცალკეული ფაკულტეტებისა თუ ინსტიტუტების სპეციფიკის გათვალისწინებით. ვფიქრობ, ასევე მნიშვნელოვანია საათობრივი დატვირთვის ანაზღაურების მონესრიგება, რომელიც შესაბამისად გაზრდის დასაქმებულთა ინტერესს იმ



ფონზე, როდესაც ლექციის ჩატარება მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლით განისაზღვრება. ძალზედ არასახარბიელო მდგომარეობაშია ცალკეული კორპუსების საერთო სარგებლობის სივრცეები, სველი წერტილები, ეზოები, რომელთა რეაბილიტაცია უპირველესად უნდა დასრულდეს. სამოქმედო გეგმაში წარმოვადგინე სალექციო აუდიტორიების თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის აუცილებლობა, რათა ლექტორს შეეძლოს ლექციის ხარისხიანად ჩატარება. პრობლემებია უნივერსიტეტის ქონების სრულ აღრიცხვიანობასთან დაკავშირებით, რის გამოც მრავლადაა უსარგებლო მონყობილობა თუ ნივთი, რაც სერიოზულ დისკომფორტს იწვევს ნორმალური სამუშაო პროცესების წარმართვისათვის. აკადემიური საბჭო უმაღლესი მმართველობითი ორგანოა უნივერსიტეტში, ამიტომაც მიუხედავად ჩემი პრაქტიკული სამოქმედო გეგმისა, მაინც ვწერვი ულობდი, რადგანაც ბუნებრივია, არ ვიცოდი, რამდენად იქნებოდა გეგმა საბჭოს წევრების მოთხოვნასთან და მოლოდინთან მიახლოებული. ასეთი მხარდაჭერა ჩემდამი ორმაგად მავალდება, რომ უმოკლეს ვადაში დაინიყოს ამ მოლოდინების რეალურ წარმატებად გადაქცევა.

— ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან სამეცნიერო საქმიანობა დიდი ხანია გაკავშირებთ. ამავდროულად, წლების განმავლობაში ქალაქ ბათუმის მერის

(გაგრძელება მე-3 გვერდზე)



## ტემპუსის პროექტის ორდღიანი შეხვედრა



ტემპუსის პროექტის „დისტანციურ ინჟინერიასა და ვირტუალურ ინსტრუმენტებზე დაფუძნებული ინდუსტრიული თანამშრომლობა და შემოქმედებითი საინჟინრო განათლება“ ფარგლებში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ორდღიანი შეხვედრა გაიხსნა. პროგრამის პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესორ-მასწავლებლები პროექტის შედეგებს შეაჯამებენ და ერთმანეთს გამოცდილებას გაუზიარებენ. პროექტის მიზანია შექმნას და დაანერგოს მეთოდოლოგია, რესურსები საინჟინრო სფეროს გასავითარებლად საქართველოში, უკრაინასა და სომხეთში. შემუშავდება საგანმანათლებლო პროგრამა საინჟინრო მიმართულებით ალტერნატიული ტექნოლოგიების გამოყენებით და განისაზღვრება სასწავლო მეთოდოლოგია შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად. პროგრამის ეგიდით გაიხსნა სპეციალური მონაცემთა ბაზის ალტერნატიული ლაბორატორია, სადაც წარმატებით გაიარეს თეორიული და პრაქტიკული კურსები ფიზიკის, კომპიუტერული მეცნიერებებისა და საინჟინრო სპეციალობების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებმა.

პროექტის პარტნიორი უნივერსიტეტები:

1. ილმენაუს ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, გერმანია (აპლიკანტი)
2. დეუსტოს უნივერსიტეტი, ესპანეთი
3. კარინთია გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტი, ავსტრია
4. ბრასოვის ტრანსილვანიის უნივერსიტეტი, რუმინეთი
5. Quality Austria - შ.პ.ს. ტრენინგი, სერტიფიცირება და შეფასება, ავსტრია
6. ხარკოვის პოლიტექნიკური ინსტიტუტი, უკრაინა
7. ივანო-ფრანკისკის ეროვნული ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, უკრაინა
8. ზაპოროჟიის ეროვნული ტექნიკური უნივერსიტეტი, უკრაინა
9. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
10. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
11. სომხეთის ამერიკის უნივერსიტეტი, სომხეთი
12. სომხეთის სახელმწიფო საინჟინრო უნივერსიტეტი, სომხეთი
13. სომხეთის სახელმწიფო საინჟინრო უნივერსიტეტის კაპანის ფილიალი, სომხეთი

## ინგლისური ენის საზაფხულო სკოლის მონაწილეებს სერტიფიკატები გადაეცა



ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინგლისური ენის საზაფხულო სკოლის პირველი ეტაპი დასრულდა. ღონისძიებაში მონაწილე ბათუმის კერძო და საჯარო სკოლების IX, X, XI კლასების 130 მოსწავლეს, ქართველ პროფესორ-მასწავლებლებსა და მშვიდობის კორპუსის ამერიკელ წარმომადგენლებს სერტიფიკატები გადაეცა. სწავლება მიზნად ისახავდა ინგლისურ ენაზე თავისუფლად საუბრის უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და ამერიკის კულტურის შესახებ ცოდნის შექმნას. საზაფხულო სკოლა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ევროპეისტიკის დეპარტამენტის პროფესორ-მასწავლებლებისა და ბსუ-ში მონაწილე მშვიდობის კორპუსის ინგლისური ენის მასწავლებლის მარია ინისის ორგანიზებით ჩატარდა.

## ქონფერენცია თემაზე: „ევროპის მცოდნეობაში სწავლების ახალი მოდერნიზირებული ხალი მოდერნიზირებული ხარისხობის შეფასება“

19-20 ივნისს, კომინევი მოდერნიზაციის თემაზე საერთაშორისო უნივერსიტეტში (ULIM) შუალედური კონფერენცია გაიმართა თემაზე: „ევროპის მცოდნეობაში სწავლების ახალი მოდერნიზირებული ხალი კურიკულუმების შემუშავება“. სესია ტემპუსის საგრანტო პროექტის Tempus INOTLES (სწავლებისა და სწავლის ინოვაციური მეთოდები ევროპის მცოდნეობის დარგში) ფარგლებში ჩატარდა. პროექტში მონაწილე უნივერსიტეტების პროფესორებმა პარტნიორი უნივერსიტეტების სამომავლო სამუშაო გეგმა განიხილეს, ევროპის მცოდნეობის სასწავლო პროგრამებს გაეცნენ და ევროპის მცოდნეობაში სწავლების ახალი მოდერნიზირებული კურიკულუმების შემუშავებაზე იმსჯელეს.

კონფერენციაში მონაწილეობას ლებულობდნენ - პროექტის კოორდინატორი, საგარეო ურთიერთობათა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი ნანა ყურშუბაძე, პროექტის მკვლევარი: სოციალური მეცნიერებათა, ზიზნისისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ირაკლი გორგილაძე, ამავე ფაკულტეტის ასისტენტი პროფესორი ლაშა ბაჟუნაიშვილი და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტი პროფესორი ნათია ქათამაძე.



## „ახვასიის მე-4 საერთაშორისო სიმპოზიუმი ჯოლიმარაჟსა და თანამედროვე მასალაზე“

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებით ტარდება „კავკასიის მე-4 საერთაშორისო სიმპოზიუმი პოლიმერებსა და თანამედროვე მასალაზე“. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილ ფორუმში 10 ქვეყნის 80-მდე მკვლევარი მონაწილეობს. სიმპოზიუმის მიზანია პოლიმერებსა და ინოვაციური მასალების სფეროში მომუშავე მეცნიერებს დაეხმაროს წარმოდგინონ საკუთარი კვლევები, დარგში არსებული პრობლემები და აღმოჩენები. სიმპოზიუმი ასევე ხელს შეუწყობს მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოების ნაკლებად ცნობილი ქართული და კავკასიური სამეცნიერო ჯგუფების ახალი სამეცნიერო კვლევების წარმატებით გაცნობას.

მკვლევარები ამერიკის შეერთებული შტატებიდან, გერმანიიდან, საფრანგეთიდან, პოლონეთიდან, ყაზახეთიდან, რუსეთიდან, ბელარუსიდან, უკრაინიდან, ირანიდან და სხვა ქვეყნების სამეცნიერო ცენტრებიდან ოთხი დღის განმავლობაში პოლიმერების სინთეზის ახალ მეთოდებსა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვაზე იმსჯელებენ. დარგის განვითარება იმ პრობლემების მოგვარებას დაეხმარება, რომლებიც თანამედროვე მსოფლიოს წინაშე დგას. სიმპოზიუმი საფუძველს ჩაუყრის ახალ საერთაშორისო კავშირებს, ერთობლივ სამეცნიერო კვლევებს, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს, სამეცნიერო პოტენციალის სრულყოფილად გამოყენებას.



## შეხვედრა უკრაინისა და სლოვაქეთის დაღვაწიანთა

ჩერნიგოვის ნაციონალური ტექნოლოგიური უნივერსიტეტის (უკრაინა) რექტორი, პროფესორი სერგეი შკარლეთი, მიხაილ ბალუდიანსკის სამეცნიერო საზოგადოების (სლოვაკეთი) პრეზიდენტი, პროფესორი მიხაილ ვარხოლა, უკრაინის ბიორესურსებისა და ბუნებოსარგებლობის ეროვნული უნივერსიტეტის გლობალური ეკონომიკის განყოფილების ხელმძღვანელი ნატალია ვედვენკო, ჩერნიგოვის ნაციონალური ტექნოლოგიური უნივერსიტეტის საჯარო ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ოლეგ რუდენკო ამავე უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეწვივნენ. ბსუ-ს რექტორის მოადგილესთან, პროფესორ ნათია ნიკლაშვილთან და პროფესორ-მასწავლებლებთან გამართულ შეხვედრაზე დღევანდლის ნევრებმა სამომავლო თანამშრომლობის მიმართულებებზე ისაუბრეს.



ჩერნიგოვის ნაციონალური ტექნოლოგიური უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში დაიგეგმა სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის საზაფხულო სკოლებისა და ონლაინკონფერენციის ჩატარება. მხარეთა შეთანხმებით, გამოიცემა ერთობლივი მონოგრაფიები და ამოქმედდება გაცვლითი პროგრამები. გარდა ამისა, სადოქტორო ნაშრომების საერთაშორისო რეცენზირებისა და აპრობაციის პროცესში ჩაერთვებიან უკრაინელი და სლოვაკი კოლეგები.

## ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტი „მართვალთა განვითარებისთვის“



ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საერთაშორისო სტუდენტურ ორგანიზაცია აისეკოსთან თანამშრომლობის ფარგლებში ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტის „მართვალთა განვითარებისთვის“ (G4G) წარმომადგენლები სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტებს შეხვდნენ. G4G-ის ხელმძღვანელმა მაილო სტევანოვიჩმა ახალგაზრდებს პროექტის მიზნები, სტაჟირების პროგრამაში მონაწილეობის პირობები, პერსონალური ბრენდინგი და საკუთარი თავის კარგად წარმოჩენის შესაძლებლობები გააცნო. სასტუმრო პილტონის ხელმძღვანელმა სტიუარტ ნელსონმა შეხვედრაზე ბიზნესის მართვასა და წარმატებულ მენეჯმენტზე ისაუბრა, ხოლო პროექტის კომუნიკაციების მენეჯერმა მაიკ მართლმა სტუდენტებს რეზიუმეს, ინტერვიუზე სწორად წარდგენის ტექნიკასა და კარიერის დაგეგმვის ნესებზე. პროექტი 4 წლის განმავლობაში გაგრძელდება და ხელს შეუწყობს სტუდენტების განვითარებასა და მათი შესაძლებლობების რეალიზებას.

(დასაწყისი პირველ გვერდზე)

# ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს ადმინისტრაციის ახალი ხელმძღვანელი ჰყავს

თანამდებობაზე მუშაობდით, რამაც დიდი გამოცდილება შეგიძინათ. როგორც პროფესიონალი და გამოცდილი ეკონომისტის პრიორიტეტები ადმინისტრაციის ხელმძღვანელის გადასახედიდან...

— ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უპირველესი მოვალეობაა უნივერსიტეტის ფინანსური, ადამიანური და მატერიალური რესურსების მართვა. ფაქტობრივად, ადმინისტრაციამ ხელი უნდა შეუწყოს უნივერსიტეტში სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის განხორციელებას თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, რადგანაც საქართველოში უმაღლესი განათლების სისტემაში სერიოზული კონკურენციაა, წინ გველოდება აკრედიტაცია თავისი მოთხოვნებით. მიმაჩნია, რომ კარგად ვიცნობ უნივერსიტეტის პერსონალს, მაქვს გარკვეული პროგრამა საფინანსო რესურსების გაუმჯობესებისა და მოძიების მხრივ.

— ამჟამად ხომ არ არის ისეთი სფერო უნივერსიტეტში, რომელიც სასწრაფოდ საჭიროებს კონკრეტული ნაბიჯების გადაკვრას?

— უნივერსიტეტს მრავალმხრივი მიმართულება აქვს. მისი საქმიანობა ფაქტობრივად გაძლიერდა სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევით თუ სასწავლო ინსტიტუტების შემოერთებით საკუთარ აკადემიურ პერსონალთან ერთად. უკვე დაწყებულია მუშაობა აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის ბაზის რეაბილიტაციისთვის. გარკვეულწილად გაუმჯობესდება ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. პრობლემად გვჩნება ქობულეთში ფიტოპათოლოგიისა და მცენარეთა დაცვის ინსტიტუ-

ტი, რომელიც ამჟამად კერძო საკუთრებაში გადაცემულ სივრცეში აგრძელებს საქმიანობას. ამიტომაც, უახლოეს მომავალში, საჭიროა აჭარის ა. რ. მთავრობასთან ერთად საკითხის დარეგულირება.

— როგორია ახალი კანცელერის პოზიცია არსებული ფინანსური რესურსების ხარჯზე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი თითოეული სამეცნიერო რგოლისა და მიმართულებისთვის?

— ჩვენ გვაქვს მიდგომა ინსტიტუტებისადმი, რომ გრანტების პარალელურად უნივერსიტეტის თანადაფინანსებით გაძლიერდეს ლაბორატორიული აღჭურვილობა. ასევე ცალკეული ფაკულტეტების მიხედვით მონესრიგდეს ან რეაბილიტაცია ჩაუტარდეს ლაბორატორიულ სივრცეებს, მოეწყოს სასწავლო სიმულაციური კაბინეტები, რათა სწავლება მაქსიმალურად მიუახლოვდეს რეალურ სტანდარტებს, ასევე ცალკეული ფაკულტეტების აკადემიურ პერსონალს სამეცნიერო კონფერენციებსა თუ სხვა სახის ღონისძიებებში მონაწილეობის მიღების მიზნით ვფიქრობთ, განვუსაზღვროთ მინიმალური ლიმიტი მაინც, რათა სწორად დაიგეგმოს წინასწარ ამ ტიპის ღონისძიებები. ასევე აუცილებელია პროგრამულად გაიწიროს სტუდენტური თვითმმართველობის ბიუჯეტი, რაც უფრო სწორ მოლოდინს შეუქმნის სტუდენტობას და ამ მიმართულებით საქმიანობაც უფრო გამჭვირვალე გახდება. ჯერ კიდევ პრობლემად რჩება ცალკეული სპეციალობების მიხედვით ძირითადი

საბიბლიოთეკო ფონდის შექმნაც. ფაქტობრივად, სტუდენტები შესაბამისი სამეცნიერო მეთოდური ლიტერატურის სიმცირის გამო, ხშირად ქსეროასლებით სარგებლობენ, რაც მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში უნდა იყოს აუცილებელი. პრობლემად რჩება საერთო საცხოვრებლის ინფრასტრუქტურაც. ელემენტარულად სტუდენტებს არ აქვთ მონესრიგებული ეზოს სივრცე, სპორტული მოედანი. ასევე, ვფიქრობთ, უნივერსიტეტის სტამბის მოდერნიზაციას, რათა გვექონდეს საკუთარი გამართული გამომცემლობა.

— ხომ არ იგეგმება შეღავათები დევნილთა და სოციალურად დაუცველთა ოჯახის წევრებისათვის?

— სტუდენტებს ხშირად უჭირთ სწავლის საფასურის გადახდა. უნივერსიტეტში უკვე მოქმედებს გარკვეული დამატებითი საშუალებათა სისტემა, თუმცა ჩემი სამოქმედო გეგმის ნაწილია სტუდენტთა მხარდაჭერის მუნიციპალური პროგრამის ფორმირება ე.წ. „იაფი სტუდენტური სესხი“. ხშირად გვაქვს რეალობა, როცა 300 ლარის გადაუხდელობის გამო სტუდენტს უჩერდება სტატუსი. პროგრამის ამოქმედების შემთხვევაში, სტუდენტს მოკლევადიანი სესხის ფარგლებში ბანკი დაუფარავს მიმდინარე დავალიანებას, ხოლო შესაბამისად დარიცხული პროცენტები კი - თანადაფინანსების სახით უნდა დაიფაროს აღნიშნული მხარდაჭერის პროგრამით. ამას ექნება ორმაგი ეფექტი, უპირველესად სტუდენტი ჩვეულებრივ გააგრძელებს სწავლას და მეორე მხრივ, ხელი შეეწყობა შემოსავლების მოზიარებას.

— რა ცვლილებები უნდა განახორციელოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ იმ გარდაქმნების განხორციელებისათვის, რაც სასურველ შედეგამდე მიგვიყვანს?

— ხელმძღვანელობის ცვლილებას ყოველთვის ახლავს გარკვეული ახალი მოლოდინი. ასეთი რამ სისტემატურად ხდება სხვადასხვა მოთხოვნებიდან და საქმიანობიდან გამომდინარე. ვფიქრობ, ადმინისტრაციულ სისტემაში საკმაოდ კარგი ბირთვია. ამიტომაც ამ ეტაპზე მიზანშეწონილად მიმაჩნია თითოეული სპეციალისტისათვის ფუნქციონირების გაძლიერება-დაკონკრეტება. როგორც გამოიკვეთა, დავალებები და მუდმივი სამუშაო მხოლოდ ზეპირი შეთანხმებითაა დელეგირებული, რაც მინიმუმ გარკვეულ უხერხულობას იწვევს. ვფიქრობთ, უნდა იყოს კონკრეტული საქმიანობისადმი დებულებით დამტკიცებული და შესაბამისი ფუნქციით განაწილებული ვალდებულებები.

— რას გვეტყვით მიმდინარე სარემონტო სამუშაოების შესახებ, რომელიც უნივერსიტეტის კორპუსებში მიმდინარეობს?

— ნამდვილად მისასალმებელია, რომ მასშტაბურად დაიწყო მატერიალური ბაზის გაუმჯობესებისათვის შესაბამისი სარეაბილიტაციო სამუშაოები, მართალია ცოტა დაგვიანებით, მაგრამ პრობლემის მოგვარების დაწყებას თავისი პოზიტიური მოლოდინიც აქვს.

ასევე, უკვე ფაქტობრივად მომზადდა რუსთაველის ქუჩაზე მდებარე სასწავლო კორპუსის მეოთხე და მეხუთე სართულების პროექტები, მზადდება ლიფტის სამონტაჟო პროექტი და სხვა ღონისძიებებიც, რაც აუცილებელია უნივერსიტეტში ადაპტირებული გარემოს შესაქმნელად. საერთოდ, სამშენებლო პროექტების განხორციელებას ხშირად ახლავს გაუთვალისწინებელი გარემოებები, რაც აფერხებს მუშაობის პროცესს. ასეთი ვითარება ამჟამად ყოფილი საერთო საცხოვრებლის ფართის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით, თუმცა მიმდინარე სამუშაოების ძირითადი ნაწილი უკვე დასრულებულია სექტემბრის თვეში და ჩვენი სტუდენტების საკმაოდ დიდ ნაწილს ექნება საშუალება ახალ სასწავლო წელს შეხედეს გაუმჯობესებულ გარემოში.

— ახლადარჩეული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სამომავლო გეგმები და ამოცანები...

— ჩვენი ძირითადი მიზანია ამ ეტაპზე მომავალი წლის ბოლოსათვის დავასრულოთ ინფრასტრუქტურის განახლების ის ძირითადი სამუშაო, რომელიც აუცილებელია აკრედიტაციის წარმატებით გასაწველად და მეორე, უკვე 2018 წლიდან უნდა გვექონდეს ყოველმხრივ გამართული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რაც კიდევ უფრო გაზრდის ჩვენს კონკურენტუნარიანობას და გააუმჯობესებს სწავლების თუ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხარისხობრივ მაჩვენებელს.

## უნივერსიტეტში ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის აჭარის განახლებული ბიურო გაიხსნა

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის აჭარის განახლებული ბიურო გაიხსნა. ცერემონიას საქართველოს თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი თამარ ბერუჩაშვილი, ევროკავშირის და ევროატლანტიკურ სტრუქტურების ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი დავით ბაქრაძე, ამერიკის ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი, უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, ასოცირებული პროფესორი მერაბ ხალვაში, ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის დირექტორი ელენე გოცაძე და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ბიუროს მიზანია აჭარის რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის ნატოსა და ევროკავშირის შესახებ ინფორმირება და მათი ევროპული და ევროატლანტიკური სტრუქტურების ინტეგრაციის პროცესში აქტიურად ჩართვა.



საქართველოს მასშტაბით ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის 4 რეგიონული ბიურო ფუნქციონირებს: აჭარის, სამეგრელო, იმერეთისა და კახეთის რეგიონებში. ახალი ბიუროების გახსნა წლის განმავლობაში ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში იგეგმება.

ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის რეგიონული ბიუროები საქართველოში სლოვაკეთის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით გაიხსნება.

## საჯარო ლექციაზე ახალბურთული მკვლევარების დასვინა და ჯონსონის საინფორმაციო ცენტრში

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ორგანიზაცია „იკომოს საქართველოს“ გენერალური მდივნის, არქიტექტორ ნატო ცინცაბაძის საჯარო ლექციები ჩატარდა კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და კონსერვაციის საკითხებზე. პირველი ლექცია თემაზე: „მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის კონვენცია და საქართველო“ მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის კონვენციის დაფუძნების მოკლე ისტორიას, მის მიზნებსა და ამოცანებს დაეთმო. მომხსენებელმა განიხილა საქართველოს (როგორც კონვენციის წევრი ქვეყნის) და მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების ფაქტობრივი და ოფიციალური მდგომარეობა დღეისთვის. მეორე ლექცია თემაზე: „ავთენტიკურობის პრობლემები მემკვიდრეობის დაცვისა და რეაბილიტაციის დროს“ მიეძღვნა ავთენტიკურობის ცნების ჩამოყალიბების მოკლე ისტორიას.



არქიტექტორმა ნატო ცინცაბაძემ ისაუბრა ავთენტიკურობის დაცვის პრობლემებზე ათენის აკროპოლისის, ბაგრატიის კათედრალის რეკონსტრუქციისა და სხვა პრაქტიკული მაგალითების გათვალისწინებით. ლექციათა ციკლი აჭარის ა.რ. განათლების, კულტურის და სპორტის სამინისტროს უმაღლესი განათლების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გაიმართა.

# ინდივიდუალური საჯიროების მქონე ადამიანების საზოგადოებაში ინტეგრირება



2012 წლის 15 ოქტომბრიდან ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ბსუ) ჩართულია ტემპუსის საგრანტო პროექტში „ინდივიდუალური საჯიროების მქონე ადამიანების საზოგადოებაში ინტეგრირება“ (Access to Society for People with Individual Requirements (ASPIRE), N530345-TEMPUS-1-2012-1-GE-TEMPUS-JPHES), რომელსაც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (ისუ) 14 პარტნიორი უნივერსიტეტის/ორგანიზაციის ჩართულობით ახორციელებს. ისუ-სა და ბსუ-ს გარდა პროექტში ჩართულია სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი (სჯსუ), აცაპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA) და არასამთავრობო ორგანიზაცია

რა მნიშვნელოვანი პრაქტიკული დატვირთვისა და ღირებულების მატარებელი იყო. სამუშაო შედეგების გარდა, ყველა უნივერსიტეტმა თავისი წვლილი შეიტანა იმ სამუშაოების შესრულებაში, რომლებსაც გრანტის მიზნებისა და საბოლოო შედეგების მიღწევისთვის უნდა შეენიჭა. კერძოდ, 2013 წელს პროექტში ჩართული ყველა ორგანიზაციის და მათ შორის ბსუ-ს მიერ ჩატარდა კვლევა, რომელშიც მონაწილეობდნენ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები, ადმინისტრაციის წარმომადგენლები, სკოლის მასწავლებლები, შშმ პირები და მათი მშობლები, საჯარო მოხელეები. აღნიშნული კვლევა შეიძლება ჩაითვალოს ინკლუზიური განათლების მი-

კითხვების ცოდნის საკმაოდ დაბალ დონეს ავლენს. ეს მოსალოდნელიც იყო და შესაბამისად, საგრანტო პროექტის ძირითად მიზანს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაში ხელშეწყობა წარმოადგენს. პროექტის ფარგლებში თავიდანვე დაგეგმილი იყო სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო პროგრამის/ტრენინგ-კურსების შემუშავება და დაწერვა უნივერსიტეტებში, საჯარო ადმინისტრაციულ დაწესებულებებში და არასამთავრობო ორგანიზაციებში ერთის მხრივ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირების დასახმარებლად, ხოლო მეორეს მხრივ - უშუალოდ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირებისათვის. კვლევის შედეგები გამოყენებულ იქნა მოდულების შემუშავების დროს. წინასწარი გამოკითხვის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საზოგადოება გამოთქვამს მზაობას ამ ტრენინგების გასაუფლებლად. საზოგადოების გადამზადების ფაქტი, ვფიქრობთ, გააძლიერებს ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის გარემოს შექმნა/მონესრიგების პროცესს როგორც ზოგად საზოგადოებაში, ისე თვითონ ოჯახში. აღნიშნული კურსები ასახებს პროექტს, აგრეთვე, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და მათ შორის ბსუ-ში მოქმედ სხვადასხვა საფეხურის მასწავლებლის მომზადების მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებშიც.



ბა, რომელსაც ეხსნებოდნენ პარტნიორი უნივერსიტეტების წარმომადგენლები (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, სლოვაკეთიდან, გერმანიიდან და ირლანდიიდან). ბსუ-ს პერსონალი მონაწილეობდა, აგრეთვე, პარტნიორ უნივერსიტეტებში ჩატარებულ პილოტირებებშიც.

გრანტის ამოქმედებიდან დღემდე არაერთი აკადემიური თუ კულტურული ღონისძიება ჩატარდა, რომლებშიც ბსუ-ს პერსონალიც აქტიურად მონაწილეობდა. 2014 წლის 14 ივნისს თბილისში, სასტუმრო „პოლიდეი ინ“-ში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენელმა, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, აცაპი წვეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისა და საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის - GIPA-ს რექტორებმა ხელი მოაწერეს ინკლუზიური დეკლარაციას. შეთანხმების მიზანია ინკლუზიური განათლების დაწერვა განათლების ყველა ეტაპზე და სწავლებაში სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების მონაწილეობის მისაღებად შესაბამისი პირობების უზრუნველყოფა. შეთანხმების თანახმად, პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები სამომავლოდაც

მომხდარი ტრადიციის გამო აღნიშნული ღონისძიება გადაიდო. ბსუ-ს პერსონალმა და განათლების ფაკულტეტის სტუდენტმა მონაწილეობა მიიღეს ამ დღის აღსანიშნავად ახალციხეში (რაბათის ციხეზე) გამართულ ღონისძიებაში.

ბსუ საქართველოს სხვა უმაღლესი სასწავლებლებთან ერთად ყოველწლიურად მონაწილეობს, აგრეთვე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამართულ ინკლუზიური განათლების სამეცნიერო პიკნიკშიც.

საგრანტო პროექტმა, აკადემიურის გარდა, მატერიალურ-ტექნიკური თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანი სარგებელი მოუტანა უნივერსიტეტს. 2013-2014 წლებში, გრანტის ფარგლებში ორ ეტაპად იქნა შექმნილი ტექნიკის გარკვეული ნაწილი, ტექნიკის ნაწილისა და სახელმწიფო განათლების შექმნა კი მიმდინარეობს ამჟამად. აღჭურვილობის პუნქტზე (ტექნიკასა და ლიტერატურაზე) პროექტით გათვალისწინებული თანხა სულ 14800 ევროს შეადგენს.

პროექტი მიმდინარე წლის 14 ოქტომბრის სრულდება. შესაბამისად სამუშაოების ნაწილი სწორედ ამ პერიოდშია დაგეგმილი. კერძოდ, ბეჭდური სახით გამოიცემა შემუშავებული მოდულების ფარგლებში გამოყენებული რიგდები, ახალი სასწავლო ნივთები ბსუ-ს განათლების ფაკულტეტზე, კერძოდ N58 აუდიტორიაში განხილვა ინკლუზიური განათლების ტრენინგ-ცენტრი, რომელიც აღიჭურვება გრანტის ფარგლებში შექმნილი ტექნიკით, ამავე ფაკულტეტზე ამოქმედდება „მშობელთა უნივერსიტეტი“, რომელიც მომზადდება და მომავალ მომზადებას ყველა მიმართულებასთან ერთად ინკლუზიური განათლების მიმართულებითაც გაუწევს უფასო მომსახურებას. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ აუცილებლად ჩატარდება 14 ივნისს თბილისში მომხდარი ტრადიციის გამო განხორციელებული ღონისძიება (სავაგაუფლო სექტემბრის თვეში). საგრანტო პროექტის მიზნულს, 2015 წლის სექტემბრის ბოლო კვირისთვის დაგეგმილია შემუშავებული კონფერენციის ჩატარება ბსუ-ში.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს გრანტის მენეჯმენტის შესახებაც, კოლეგები გრანტის წამყვანი უნივერსიტეტიდან - ისუ-დან (კოორდინატორი ქეთევან დაჩუაძე, გრანტის დირექტორი ხათუნა დოლიძე, გრანტის ფინანსური მენეჯერი მანანა სალუქვაძე) ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ საგრანტო პროექტით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება დროულად და ყოველგვარი შეფერხების გარეშე განხორციელდეს. ყველა სხვა გრანტის მსგავსად, ამ პროექტსაც კიდევ ერთ მნიშვნელოვან საქმეს შეუწყო ხელი - ერთმანეთს დააკავშირა და დაახლოვა საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და ორგანიზაციის წარმომადგენლები. პროექტში სხვა სასწავლებლებიდან ჩართული პერსონალი (წინო გოგინაძე, თინა გელაშვილი, ირმა ქურდაძე, გულიკო ჯანოვა, ფანა ანთია, თინათინ კახიანი, ცირა ბარქაია, ვიქტორია მიდელაური) ზემოთ დასახელებულ ისუ-სა და ბსუ-ს პერსონალთან ერთად წარმოადგენს გუნდს, რომელიც ყოველთვის იტყვის თავის სათქმელს ინკლუზიური განათლების ხელშეწყობისთვის.

**ნანა მაკარაძე,**  
საციონირებული პროფესორი



„საქართველოს პორტივის ასოციაცია“, აგრეთვე გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, ირლანდიის, სლოვაკეთისა და სომხეთის უნივერსიტეტები.

პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ადამიანების განათლებას, მათ სოციალურ ინტეგრაციასა და დისკრიმინაციის შემსუბუქებას. რაც შეეხება პროგრამის ძირითად ამოცანებს, იგი შემდეგნაირად განსაზღვრულია: 1. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ახალგაზრდების უფლების დაცვა - მიიღონ უმაღლესი განათლება; 2) საზოგადოების მხრიდან ამ ადამიანების მიღებითა და საზოგადოებრივი ცნობიერების თანდათანობითი გაზრდით დისკრიმინაციისთან ბრძოლა.

ბსუ-დან პროექტში სულ 6 ადამიანი ჩართულია: მათ შორის 4 - ალიომა ბაკურიძე, მარინა ქორიძე, ნანა მაკარაძე და ნინო მიქელაძე - მკვლევარები არიან, ამირან შარაძე - ტექნიკური, ნანა ფუტყარაძე კი - პროექტის ადმინისტრაციული პერსონალია.

პროექტის ამოქმედებიდან დღემდე რამდენიმე სამუშაო ვიზიტი განხორციელდა საქართველოსა და საზღვარგარეთის სხვადასხვა უნივერსიტეტში. გრანტის ამოქმედების საწყის ეტაპზე, 2012 წლის ნოემბრის ბოლოს სლოვაკეთში, კომპიუს ტექნიკურ უნივერსიტეტში შედგა საგრანტო პროექტში ჩართული დაწესებულებების წარმომადგენელთა პირველი სამუშაო შეხვედრა (კიტკო-ფუფ მეტტინგ), რომელშიც ბსუ-დან მარინა ქორიძე და ნანა მაკარაძეს მიიღეს მონაწილეობა.

2013 წლის 18 თებერვალში ქალაქ თბილისში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა 2-კვირიანი ტრენინგი „ინგლისური სპეციალური მიზნებისთვის“, რომელშიც ბსუ-დან ალიომა ბაკურიძე და ნანა მაკარაძე მონაწილეობდნენ.

2013 წლის აგვისტოში ირლანდიაში, ქალაქ ლიმერიკის ტექნიკურ ინსტიტუტში ჩატარდა პროექტში ჩართული ყველა პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელთა რიგით მესამე სამუშაო შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც შემუშავდა საგრანტო პროექტით გათვალისწინებული მოდულების სამუშაო ვერსია. შეხვედრაში ბსუ-დან ნინო მიქელაძე მონაწილეობდა, ხოლო 2014 წლის თებერვლის ბოლოს კონსორციუმის მეორე შეხვედრა ჩატარდა გერმანიაში, ქ. დრეზდენში, რომელშიც ბსუ-დან ნანა მაკარაძე და ნინო მიქელაძე მიიღეს მონაწილეობა. აღნიშნული ყველა შეხვედ-

მართულებით ჩატარებულ ერთ-ერთ საკმაოდ მასშტაბურ კვლევადა. მისი მიზანი იყო საზოგადოების სხვადასხვა ფენის (უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები, სსმ პირები და მათი მშობლები, სკოლის მასწავლებლები, საჯარო მოხელეები და საზოგადოების რიგითი წევრები) ცნობიერების დონისა და ინკლუზიური განათლებისადმი დამოკიდებულების დადგენა. საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გამოკითხულ იქნა 190-190-მდე ადამიანი. მათ დაურიგდათ ანკეტები, რომლებიც მოიცავდა არა მხოლოდ შეკითხვებს, არამედ პრობლემურ სიტუაციებს სპეციალური საჭიროებების შესახებ. რესპოდენტებს უნდა ეპოვათ გამოსავალი და დაესაბუთებინათ თავიანთი შეხედულებები თუ მოსაზრებები. კვლევის შედეგებმა ერთმნიშვნელოვნად აჩვენა, რომ სახელმწიფოს მხარდაჭერისა და ამ მიმართულებით დღემდე გადამდგმული მარაგ-ტებული ნაბიჯების მიუხედავად, საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილი ჯერ კიდევ არაა გაცნობიერებული ინკლუზიური განათლების საკითხებში, რაც ბუნებრივია თავისებურად უშლის ხელს პროცესის წარმატებით განხორციელებას. განსაკუთრებით არასახარბილო მდგომარეობა დაფიქსირდა საზოგადოების რიგითი წარმომადგენლების, მშობლებისა და საჯარო მოხელეების ანკეტებში. ე.ი. შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეტები და სკოლები, ანუ საგანმანათლებლო დაწესებულებები ასე თუ ისე იცნობენ და თავიანთებს მაინც ინკლუზიური განათლების საკითხებს, ხოლო სხვა სექტორები კი ამ სა-

გრანტის ფარგლებში, როგორც დაგეგმილი იყო, შემუშავდა 8 მოდული: მოდული N1 - ინგლისური სპეციალური მიზნებისთვის, მოდული N2 - მარკეტინგის, ადვოკატირებისა და პრეზენტაციის უნარები, მოდული N3-4 - უმაღლესი განათლების საფეხურის მისაწვდომობის უზრუნველყოფა (ბიბლიოთეკისა და ლაივ-ონ-ფიცილის გამოყენება), მოდული N5-კოგნიტიური და მეცნიერებითი უნარები, მო-



დული N6 - კომუნიკაცია და ინტერაქცია - აუტიზმი, მოდული N7 - ფიზიკური და სენსორული საჭიროებები, მოდული N8 - სოციალური, ემოციური და ქცევითი პრობლემები. ბსუ-მ აიღო დასახელებულთაგან N1, 5, 6, 7 და 8 მოდულების განხორციელების ვალდებულება.

მოდულების შემუშავების შემდეგ დაიწყო მათი პილოტირება. ბსუ-ში 2014 წლის მაისიდან დღემდე განხორციელდა N1, N5, N6 და N8 მოდულების პილოტირე-

ერთობლივად შეიმუშავებენ და განახორციელებენ ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამებს.

2014 წლის 16 ივნისს თანაბარი შესაძლებლობების დაცვის კვირულის ფარგლებში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მულტიმედია ცენტრის გუნდის მიერ შეფასებულ ბავშვებსა და შეზღუდულ შესაძლებლობის მქონე პირებს უმასპინძლა. ტემპუსის პროექტ ASPIRE-ის ეგიდით გამართულ გასართობ-შემეცნებით ღონისძიებაში სხვადასხვა თაობის ინკლუზიური ჯგუფის მოზარდებმა მიიღეს მონაწილეობა და საკუთარი სახელოვნებო შესაძლებლობები წარმოაჩინეს. საღამოს დასასრულს ფრანები გაუშვეს, ბავშვებს სამხსოვრო საჩუქრები გადაეცათ და ქალაქში ღია მატარებლები გაისიერეს. ღონისძიება ბსუ-ს განათლების ფაკულტეტისა და აჭარის მუნიციპალიტეტების ორგანიზებით ჩატარდა.

2015 წლის 14 ივნისს თანაბარი შესაძლებლობების უფლების დაცვის ეროვნულ დღესთან დაკავშირებით ტემპუსის პროექტის ფარგლებში დაგეგმილი იყო ღონისძიება დევიზით: „შექმენი გარემო, აღიქვი შესაძლებლობა, განაპირობე განათლება“, თუმცა 13 ივნისს თბილისში





ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარის რიგით მეშვიდე არჩევნები ჩატარდა. სტუდენტური თვითმმართველობის 94 წევრიდან, არჩევნებში მონაწილეობა 85-მა მიიღო.

სამათა უმრავლესობით, სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თურქეთისმცოდნეობის სპეციალობის მეორე კურსის სტუდენტი — ბიძა მბჰარაძე გახდა.

— ბეჯა, რატომ გადაწყვიტეთ, გამხდარიყავით თვითმმართველობის თავმჯდომარე?

— ჩემი აზრით, სტუდენტობა მხოლოდ ლექცია-სემინარების მოსმენა და მომზადება არ არის, რა თქმა უნდა, ეს უპირველესია, მაგრამ ამის გვერდით, არანაკლებ მნიშვნელოვანი სტუდენტური ცხოვრებაა, სხვა აქტივობები, რომლებიც უმთავრესია სტუდენტისთვის. სულ მინდოდა, რომ სტუდენტებს ლექციის დამთავრებისთანავე სახლში წასვლაზე არ ეფიქრა, აქ, ადგილზე ჰქონოდათ ისეთი გარემო და პირობები, რომ შეძლებოდათ თავიანთი საინტერესო იდეების რეალიზება, ერთმანეთისთვის მიწოდება. ამიტომ, ვფიქრობ, ამაში დიდად დამეხმარებოდა სტუდენტური თვითმმართველობა და ხელმძღვანელი პოზიცია.

— აპირებთ თუ არა თვითმმართველობის სტრუქტურაში კონკრეტული ცვლილებების განხორციელებას?

— ვფიქრობ, ეს კითხვა პირდაპირ უკავშირდება პირველ კითხვას. ყოველი ახალი ეტაპი უნივერსიტეტისთვის საინტერესო და სასიკეთო ცვლილებას უნდა უკავშირდებოდეს. არ უნდა დავივიწყოთ ის, რაც კარგი გაკეთდა წინა წლებში. ცხოვრება წინ მიდის, მოთხოვნებიც იზრდება. შესაბამისად, სტუდენტური ცხოვრებაც უფრო საინტერესო და შემოქმედებითი უნდა გახ-

# „სტუდენტური ცხოვრება უფრო საინტერესო და შემოქმედებითი უნდა გახდეს“



დეს. ამის შესაძლებლობები და ბაზა უკვე გააჩნია ჩვენს უნივერსიტეტს. ამიტომ, პირველ რიგში, ერთად უნდა დავსხდეთ სტუდენტური თვითმმართველობის წევრები, გამოვთვალოთ საკუთარი აზრები და შეხედულებები, რაოდენ განსხვავებულიც არ უნდა იყოს ის და რაც უნივერსიტეტის კეთილდღეობისთვის იქნება მისაღები და რეალურად შეძლებთ განხორციელებას, იმას დავისახავთ მიზნად. წინასწარ ლაპარაკი ცოტა უხერხულია, ერთი რამ შემიძლია დაბეჯითებით ვთქვა, რომ იქნება სასიკეთო და საინტერესო ცვლილებები ყველა კუთხით.

— რა ღონისძიებებს გეგმავს უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა მომავალი სასწავლო წლისთვის?

— მომავალი სასწავლო წელი, მოგეხსენებათ საიუბილეო წელია, ჩვენს უნივერსიტეტს დაარსებიდან 80 წელი უსრულდება და ბევრ საინტერესო ღონისძიებას გვგეგმავთ. კერძოდ, გვინდა სტუდენტური კონფერენციების ჩატარება და ნაშრომების დაბეჭდვა, ამ კუთხით ყოველთვის ჰქონდათ სტუდენტებს უკმაყოფილების გრძნობა. სტუდენტის შრომა უნდა დაფასდეს და გამოჩნდეს. ფაკულტეტებს შორის კულტურულ-შემოქმედებითი და სპორტული შეჯიბრებების ორგანიზება, ყველა გაცვლითი პროგრამის სტუდენტებისთვის გაცნობა და აქტიურად ჩართვა, ექსკურსიების მონაწილეობა და სხვა — ეს იმ გეგმის არასრული ნაწილია, რასაც ჩვენ ახალი სასწავლო წლისთვის გვგეგმავთ.

გვინდა უნივერსიტეტის შემოსასვლელში ელექტრონული საინფორმაციო ეკრანები განვათავსოთ. 21-ე საუკუნეა, მაგრამ სტუდენტი ინფორმაციას იღებს სტენდზე გაკრული ფურცლებიდან, რომელსაც ბევრი არც კი აქცევს ყურადღებას, ხშირად ჩნდება კითხვა, თუ რატომ არ იცოდა ესა თუ ის სიახლე სტუდენტმა. ამიტომ ყველა სახის ახალი ინფორმაცია განთავსდება აღნიშნულ ეკრანებზე. ამას კი ყველა მიაქცევს ყურადღებას და წაიკითხავს.

— როგორც ვიცით, უნივერსიტეტის თვითმმართველობამ საკმაოდ დიდი წვლილი შეიტანა თბილისში სტიქიით დაზარალებულთა დასახმარებლად. კონკრეტულად, რაში გამოიხატებოდა დახმარება?

— უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა პირველივე დღიდან ჩაერთო ამ საერთო ტრაგედიაში დასახმარებლად. მაშინვე შეიქმნა შტაბი თბილისში სტიქიით დაზარალებულთათვის. ვისაც რა შეეძლო, ყველაფერს აკეთებდა. პირველ რიგში გვერდით დავვიდგა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა, ადმინისტრაცია, ლექტორ-მასწავლებლები და რა თქმა უნდა, სტუდენტები. უნივერსიტეტის ამ ინიციატივას ხელი შეუწყეს ორგანიზაციებმა და წვრილმა მენარმებმა. უმოკლეს ვადაში შეგროვდა საკმაო რაოდენობის საყოფაცხოვრებო თუ პირველადი საჭიროების ნივთები, რომლებიც თვითმმართველობის წევრებმა ჩაიტანეს დანიშნულების ადგილას.

— როგორ შეიძლება სტუდენტების ჩართვა სტუდენტურ ცხოვრებაში?

— მარტივად, ინფორმაციის სწორად და საინტერესოდ მიწოდებით.

**თამაზა თურბანიძე,**  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალობის პირველი კურსის სტუდენტი

## ბსუ-ს საკლავო ფეხბურთის გუნდი აჭარის თასის ფეხბურთის

დასრულდა საკლავო ფეხბურთის ჩემპიონატი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის. ფინალურ შეხვედრაში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდს ბათუმის საზღვაო აკადემიის გუნდი დაუპირისპირდა. ჩემპიონატი უნივერსიტეტების გამარჯვებით, ანგარიშით 4:3 დასრულდა. ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი ბსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობის I კურსის სტუდენტი გიორგი მამულაძე გახდა. პირველობა საკლავო ფეხბურთის ფედერაციის ორგანიზებით გაიმართა და მასში რეგიონში არსებული ყველა უმაღლესი სასწავლებელი მონაწილეობდა. გამარჯვებულ გუნდს საკლავო ფეხბურთის სტუდენტური ლიგის აჭარის თასი, სერტიფიკატები და სამახსოვრო პრიზები გადაეცათ.



## პენსილვანიის უნივერსიტეტის პროფესორი დონოვან რიპკემამ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამერიკის საელჩოს მოწვევით საჯარო ლექცია წაიკითხა თემაზე: „კულტურული მემკვიდრეობა, როგორც ეკონომიკური რესურსი“.

პენსილვანიის უნივერსიტეტის პროფესორმა დონოვან რიპკემამ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამერიკის საელჩოს მოწვევით საჯარო ლექცია წაიკითხა თემაზე: „კულტურული მემკვიდრეობა, როგორც ეკონომიკური რესურსი“. დოქტორი დონოვან რიპკემა არის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახელმძღვანელო - „მემკვიდრეობის დაცვის ეკონომიკა“ - ავტორი, აღიარებული სპეციალისტი ისტორიული ნაგებობების დაცვის ეკონომიკის სფეროში და ორგანიზაციის - „მემკვიდრეობის საერთაშორისო სტრატეგიები“ - დამფუძნებელი. მეცნიერმა ლექციაზე კულტურული მემკვიდრეობის დაცვა განიხილა იმ თვალსაზრისით, რომ ისტორიული ქალაქები ან უბნები არ უნდა შენარჩუნდეს მხოლოდ მუზეუმების სტატუსით. მისი აზრით, ისტორიული ნაგებობების დაცვა — შენარჩუნება ამავედროულად წარმოადგენს ეკონომიკური განვითარების მძლავრ ფაქტორს.



## სტუდენტთა სამეცნიერო ჯონფარენსიისა და რეფერატულ ნაშრომთა ჯონფარენსის მონაწილეთა დაჯილდოება

სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციისა და რეფერატულ ნაშრომთა კონკურსის მონაწილეთა დაჯილდოება გაიმართა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ტრადიციული სამეცნიერო სესია 15 სექციაში ჩატარდა და მასში სხვადასხვა ფაკულტეტის II, III, IV კურსის 150-მდე სტუდენტმა წარმოადგინა მოხსენება. რეფერატულ ნაშრომთა კონკურსში საკუთარი შესაძლებლობები 120-მდე პირველკურსელმა წარმოადგინა. სამეცნიერო სესიისა და რეფერატულ ნაშრომთა კონკურსის მონაწილეებს წარმატებები უსურვეს და სერტიფიკატები გადასცეს უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ასოცირებულმა პროფესორმა მერაბ ხალვაშმა, რექტორის მოადგილემ, პროფესორმა ნათია ნიკლაშვილმა, ფაკულტეტების დეკანებმა, სტუდენტთა მხარდაჭერისა და მომსახურების სამსახურისა და პრესამსახურის უფროსებმა. სამეცნიერო კონფერენცია და რეფერატულ ნაშრომთა კონკურსი სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა.



## საერთაშორისო აქსპერტთა ჯგუფი უნივერსიტეტს ეწვია



ტემპუსის პროექტის „სამაგისტრო პროგრამა განათლების მენეჯმენტში: ლიდერების აღზრდა საგანმანათლებლო რეფორმებისათვის - „MAHATMA“ ფარგლებში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს საერთაშორისო ექსპერტთა ჯგუფი ეწვია. ორდღიანი ვიზიტი მიზნად ისახავდა სამაგისტრო პროგრამის „განათლების მენეჯმენტი“ თვითშეფასების მონიტორინგსა და ექსპერტიზას. ინგლისელი და სომეხი ექსპერტები ქართველ კოლეგებთან ერთად შეხვედრენ უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელს, ასოცირებულ პროფესორ მერაბ ხალვაშს, აკადემიურ პერსონალს, სტუდენტებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებს, ადმინისტრაციის თანამშრომლებსა და პოტენციურ დამსაქმებლებს. ექსპერტთა ჯგუფმა სამაგისტრო პროგრამა დადებითად შეაფასა და რეკომენდაციები შეიმუშავა.



# გამოსათხროვარი



შერიფ ხიმშიაშვილი მეუღლესთან-დანელ პრინცესა ნადეჟდა დაგმარასთან ერთად

2015 წლის 5 მაისს სტამბოლში გარდაიცვალა ეროვნული გმირის სელიმ ხიმშიაშვილის შვილთაშვილი, შერიფ ხიმშიაშვილის შვილიშვილი **მელაათ ხიმშიაშვილი**. იგი აჭარაში, ხულოში, ხიმშიაშვილთა საგვარეულო სახლში დაბადებულია შორის ბოლო წარმომადგენელი გახლდათ, თურქეთში გადახვეწილი ემიგრანტი ქართველი. ვფიქრობთ, დიდი სელიმის საიუბილეო დღეებში, ამ გამოსათხროვარი სიტყვით, მკითხველს შედარებით ვრცელი ბიოგრაფიული ცნობები მივანდობთ სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული მანდილოსნის შესახებ.

სამშობლოს სიყვარული უძლიერესი გრძნობაა წუთისოფელში. მეცნიერებმა იგი შენიშნეს ადამიანთა სამყაროს მიღმა, ცხოველებსა და ფრინველებში. „ადგილის დედა“ დასაბამიდან დღემდე თავისკენ იზიდავს შვილებს; ფუძის ანგელოზი გვეწვევს მშობლიური კერისაკენ...

სამშობლოს დაკარგვით გამოწვეული სევდა, როგორც ჩანს, უმწვევარესა სხვა მიზეზით გამოწვეულ სევდათა შორის. ეს გრძნობა სისხლს გადააქვს ხოლმე ადამიანთა თაობიდან თაობაში. ასეთი დასკვნა გამოგვატანინა მუშაჯირი ქართველების სულიერი სამყაროს შესწავლამ, მათი ზეპირსიტყვიერების გაცნობამ, რომელსაც ვემსახურები ოცდაათი წელიწადია. აჭარიდან იძულებით გადახვეწილთა მეოთხე, მეხუთე, მეექვსე თაობაში — მათი ბაბუიანების ბადიშებიც კი იგრძნობა ისტორიული სამშობლოს მონატრების გრძნობა. ზოგიერთს ეს სევდა სისხლსა და ხორციში მოჭარბებულად აქვს გამჯდარი.

ჩვენებურების ქართულის“ მეორე ტომის მასალებზე მუშაობისას ერთი ემიგრანტის (მუშაჯირის) შვილიშვილმა მკითხა: „როგორ არის ჩვენი **ცოცხლობა**—ჩვენი ძველების მიწა; წინ მიდის თუ უკანო“. თავის ისტორიულ სამშობლოს—სანატრელ საქართველოს „**ცოცხლობა**“ (სიცოცხლე) უწოდა და განაგრძო საუბარი: „—მალე ვაჟი შემეძინება და „ქართლოსი“ უნდა დავარქვაო“. ჩემს წინ ამაყი ქართველი იდგა, სუფთა ქართული სისხლით სავსე. მის თვალბეჭდში ძლიერი სევდა იკითხებოდა, ცრემლი კიაფობდა, ჩემგან სანუგეშო სიტყვის მოლოდინში. ეს შეხვედრა საქართველოდან შორს, ბურსის მხარეში, შუა ანატოლიაში შედგა. თურქეთელ ქართველს სამშობლოს სიყვარულმა ათქმევინა ეს სიტყვები... როგორც ჩანს, უცხოეთის ცის ქვეშაც დიდხანს გრძელდება ქართული სისხლის ყვირილი და სამშობლოს სადარაჯოდ მანამდე იქნება დაფარაყრილი, სანამ სხვა სისხლით არ აიძვრევა იგი...

ჩემო მკითხველო, ეს გრძელი შესავალი იმისთვის მოვიტანე, რომ მინდა უკეთ ჩაგახედოთ ერთი დიდებული ქართველის სულიერი სამყაროში. ეს გახლავთ, დიდი სელიმ ხიმშიაშვილის შვილიშვილის შვილიშვილი — **მელაათ ხიმშიაშვილი**. შესავალში ნათქვამი ყოველი სიტყვა მარცვალ-მარცვალ ესადაგება მისი სულის მოძრაობას, მდიდარ სულიერ სამყაროს. მართალია, იგი უკვე ზეციური საქართველოს მკვიდრია, მაგრამ გვწამდეს, რომ მისი სული იქიდანაც კვლავ თავს ეველება მშობლიურ მიწას.

მელაათ ხიმშიაშვილზე საუბრის დროს,

## „ჰლი, დედანო, მარად ნეცარნო“... სამშობლოს სიყვარულით გულანთბული.

მელაათ ხიმშიაშვილი

უნებურად მახსენდება ცნობილი ნოველისტის, სახელოვანი მწერლის, ნიკო ლორთქიფანიძის მინიატურა — „**გული**“. მოგეხსენებათ, მასში სულ რამდენიმე სტრიქონით ნაჩვენებია თავგადასავალი უცხოეთში გადახვეწილი ქართველისა, სამშობლოზე დარდს რომ ვერ გაუძლო, დასწეულა და ნადრევიდ გარდაიცვალა. მეგობრებმა გვამი გააკვეთინეს; ნახეს, რომ მკვდარს გული აღარ ჰქონდა. სამშობლოზე სევდას გული ფერფლად ექცია. დარწმუნებით შემიძლია ვთქვა: მელაათ ხიმშიაშვილის ცხედარიც რომ გაეკვეთათ, გულის მაგივრად ფერფლი დახვდებოდათ.

... მელაათი დაიბადა ზემო აჭარის ულამაზეს ადგილას, დაბა ხულოში 1922 წლის 14 ივნისს, ჰაჯი **ალი სეიდიშვილის** — **ხიმშიაშვილის** ოჯახში. მამა ვაჭრობას მისდევდა; სტამბოლიდან სამრეწველო საქონელი ჩამოჰქონდა აჭარაში და იმით ახერხებდა ოჯახის შენახვას, ხიმშიაშვილთა დიდი გვარის სიძებთან. გულისხმიერი, თავაზიანი, სტუმართმოყვარე პიროვნება ხიმშიაშვილთა საყვარელი სიძე გახლდათ.

მელაათის დედა — ქალბატონი **მინირე** — ხიმშიაშვილთა სახელოვანი შვილის — შერიფ ბეგ ხიმშიაშვილის ქალიშვილი იყო, **დანის მეფის ქრისტინა IX-ის (1818-1906) ძმის შვილიშვილი**.

შერიფ ხიმშიაშვილი 1880 წელს პეტერბურგში მიიწვია რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ (1855-1881 წ.წ.), აჭარისა და ისტორიული ტაო-კლარჯეთის მხარეების დაბრუნების საქმეში განუყოფელი ღვაწლის აღსანიშნავად. პეტერბურგში ყოფნის დროს შერიფის პირად ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა...

შერიფი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან, კერძოდ, აჭარიდან, პირველი ქართველი მუსლიმანი გახლდათ, რომელიც პეტერბურგში მოინათლა. იგი მონათლა იმპერატორმა ალექსანდრე მესამემ (1881—1894). ნათლობის სახელიც მეფემ შეურჩია — **ალექსანდრე**. მალე შერიფმა ჯვარი დაიწერა ნადეჟდა დაგმარაზე — დანიელ პრინცესაზე და იმპერატორს დაუმოყვრდა.

ალექსანდრე მესამის მეუღლეს — **მარია თეოდორეს ასულს** სასახლეში სუფთა ქალთა ამაღლა ჰყავდა. ამ ამაღლის საპატრონო წევრი იყო ნადეჟდა (ნადია) დაგმარა. რუსეთის იმპერიის დედოფალი — მარია თეოდორეს ასული ნადეჟდას დვიძლი ბიძაშვილი იყო, დანიის მეფის ქრისტინა IX-ის ქალიშვილი. შერიფ ხიმშიაშვილის ნათლობისა და ჯვრისწერის დღესასწაულები სამეფო კარმა რომანოვების სასახლეში გადაიხანდა.

ამიერიდან რუსეთისა და დანიის სამეფო კარი დაუმოყვრდა აჭარის მმართველ გვარს — ხიმშიაშვილებს. ეს მოყვრობა გაგრძელდა 1917 წლის თებერვლამდე, რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე მესამის შვილის — **ნიკოლოზ მეორის (1894—1917 წ.წ.) გადადგომამდე**. იმ მძიმე დღეებში **ალექსანდრე მესამის ქვრივი, ნიკოლოზ მეორის დედა — მარია თეოდორეს ასული (დაგმარა)** ისვენებდა ლივადიაში (ყირიმის ოლქი, იალტასთან ახლოს), მკურნალობდა კარდიოლოგიურ სანატორიუმში. რუსეთის სამეფო კარის განადგურებამ, შვილის — **ნიკოლოზ მეორის ნამებულმა სიკვდილმა**, დაამძიმა დედოფლის ჯანმრთელობა. მას, როგორც **დახვრედილი ნიკოლოზ მეორის დედას**, საფრთხე შეექმნა.

ინგლისის მამუნიდელმა დედოფალმა **ალექსანდრამ (1844-1925 წ.წ.)** სამხედრო კრეისერი „**მარლბორი**“ გამოგზავნა ოდესაში, ლივადიაში, თავისი დის — **ნიკოლოზ II-ის დედის ლონდონში წასაყვანად**. რუსეთის იმპერიის ყოფილი დედოფალი **მარია თეოდორეს ასული (ნიკოლოზ მეორის დედა)** თავისი ამალით შეიფარა ინგლისის სამეფო კარში. ამ ამაღლაში ირიცხებოდა შერიფ ხიმშიაშვილის **ქვრივიც — ნადეჟდა (ნადია) დაგმარა**. როგორც ცნობილია, შერიფი გარდაიცვალა პეტერბურგში 1892 წლის ზამთარში. ასე დაშორდა ნადია

**დაგმარა** თავის ერთადერთ ქალიშვილს — **მინირეს**, რომელიც მამის სტამბოლში ცხოვრობდა ქმართან ერთად.

მალე ოსმალეთშიც დაძმობა სოციალურ-პოლიტიკური ვითარება. ევროპის ძლიერი სახელმწიფოები, ოსმალეთის იმპერიის დაცემის შემდეგ, ცდილობდნენ სტამბოლის დასაკუთრებას. **ჩანაქალესთან** გამართულ ბრძოლაში (1915 წელს) ოსმალეთის მტრები დამარცხდნენ, მაგრამ სახელმწიფოს მმართველმა ორგანოებმა ვეღარ შეძლეს ხელისუფლების შენარჩუნება; ბოლო იმპერატორმა (ფადიშაჰმა), დედით ქართველმა — **სულთან მეჰმედ ვაჰიდუდინმა (1918—1922)** სამეფო ტახტი დაკარგა.

ოსმალეთის იმპერიის გულში აღმოცენდა ახალი ძლიერი სახელმწიფო — **თურქეთის სახალხო რესპუბლიკა, ქემალ ათათურქის** მეთაურობით.

თურქეთში შექმნილი მძიმე პოლიტიკური ვითარების გამო მელაათის დედა — მამა საცხოვრებლად ხულოში გადმოვიდა, **ჯემალ ბეგ ხიმშიაშვილის** ოჯახში. ე.ი. ძმამ შეიფარა დის — მინირეს ოჯახში. 1922 წელს მელაათი დაიბადა. იგი ხულოში ცხოვრობდა 1935 წლამდე; მან აქ მიიღო დანაყებითი განათლება.

ბოლშევიკური მმართველობის მძიმე პერიოდმა მის თვალწინ გაიარა. მელაათს ბოლომდე დანერგვით ახსოვდა ყველაფერი: ბოლშევიკები როგორ ავიწროებდნენ ხიმშიაშვილთა ოჯახებს, უმოწყალოდ ძარცვავდნენ, სიკვდილით ემუქრებოდნენ, შეურაცხყოფას აყენებდნენ; აბუჩად იგდებდნენ ალებსა და ბეგებს (აზნაურებსა და თავადებს). სწორედ, მამის განადგურდა საზოგადოების მონინავე ნაწილი, განათლებული ქართველობა: ბევრი განუკითხა-



მელაათ ხიმშიაშვილის დედა მინირე

ვად დახვრეტეს, დახოცეს, ციშიბირში გადასახლეს, სადაც, ცხოვრების მძიმე პირობების გამო, მალე დაიხრცნენ.

მელაათი ცოცხალი მონმე იყო იმ მძიმე დღეებისა. მისი საუბრის ტექსტი მალე გამოქვეყნდება წელიწდეულ კრებულში „**გამონათქვამი**“ (ტომი მეორე), რომელიც ეძღვნება ქართველი ხალხის საამაყო შვილის **სელიმ ხიმშიაშვილის** ნამებული აღსასრულიდან **200 წლის-თავს**. ამიტომ ამჯერად მასზე ვრცლად არ შეეჩერდებით.

მკითხველს მსურს გაეაცნო მელაათ ხიმშიაშვილის საოჯახო არქივში შემონახული ორი ცნობა. ერთი ეხება ბათუმის საბაჟოში მამამისის დაყადაღებულ, კონფისკაციაქმნილ — ჩამორთმეულ საქონელს, მეორე კი ხულოში, მელაათის ოჯახიდან გატანილ ქონებას.

1931 წლის 15 ივნისს, ხულოში მცხოვრებ ალი სეითზადე (სეიდიშვილი) — ხიმშიევის (ხიმშიაშვილის) ოჯახიდან კონფისკაციით გაუტანიათ ძვირფასი ნივთები — ბეჭდები, გულსახნე-



მელაათ ხიმშიაშვილი — შერიფის შვილიშვილი

ვები, სამაჯურები, რუსული ფული და სხვა სახის საგნები. მათ შორის ირიცხება ძვირფასი მარმარილოს პირსახაზი და აბანო. ესენიც მოუხსნიათ და წაუღიათ.

... ვინ იცის, შეიძლება დღემდე ამშვენებს ეს ნივთები მავანისა და მავანის ოჯახებს...

ჩამორთმეულ ნივთებს შორის დასახელებულია შერიფ ხიმშიაშვილის **ოქროს სამხრეები** (თურქულად წერია „ჩიფთი აპოლუტი“, ანუ წვეილი სამხრე) — **გენერალ-მაიორის დამადასტურებელი ნიშნები**.

ქალბატონი მელაათის ცრემლებით დასველებული კონფისკაციის დამადასტურებელი ცნობები — ეს **ცოდვით სახე ფურცლები** — მრავალნივთიანი იმ შავნულ დღეებზე, რომელიც მოჰყვა ბოლშევიკურ რეჟიმს. ცნობებს ხელს აწერს — აჰმედ ჩიტაქი, მიროფანი, რადიონოვი, რამიშივილი და კვაჭაძე.

ქალბატონმა მელაათმა გაიხსენა დედის სევდით დაძმობებული სიტყვები.

მელაათის დედა — მინირე ხანუმი ეხვეწებოდა თურქიმ ჯალათებს: — **„მამაჩემისგან სახსოვრად მხოლოდ ეს ოქროს სამხრეები დამრჩა და როგორღე დამიბრუნეთო“**. (ცრემლებმა ვერ მოალობო მათი დახარბებული გული. ყველაფერი წაიღეს... დედა რამდენიმეჯერ თბილისის მთავრობაშიც წავიდა საჩივრულად: — შერიფ ხიმშიაშვილის სამხრეები მინიც დამიბრუნეთო, — ითხოვდა დიდხანს. მაგრამ არავის ესმოდა დედის სიტყვები. ეუბნებოდნენ: — შერიფ ხიმშიაშვილის სამხრეები რომ არის, სწორედ, იმას ვერ დაგიბრუნებთ, მუზეუმისთვის გვჭირდებაო. თუმცა დღემდე არც ერთ მუზეუმში არ გვიჩანავს შერიფ ხიმშიაშვილის ოქროს სამხრეები“ — ო, — ამბობდა მელაათი.

ქალბატონი მელაათი დიდი სიყვარულით იგონებდა ხულოში გატარებულ ბავშვობას. მას ხულოს საბაზო სკოლაში ჰქონდა მიღებული დანაყებითი განათლება. ხშირად იხსენებდა **ნინო მასწავლებელს**, რომელმაც ქართული წერა-კითხვა ასწავლა. მისი მადლით ცხებულს ღრმა სიბრძნეც კი ახსოვდა „**დედა ენის**“ ლექსები, ქართული წერა — კითხვა.

მელაათის მშობლები იძულებული გახდნენ 1935 წელს დაეტოვებინათ აჭარა და ყარსში გადასულიყვნენ. მათ მონინახულეს ტაო-კლარჯეთში მცხოვრები ხიმშიაშვილები, ამ მხარეების გამგებლები. ყველანი — **ოლთისში, ტაოსკარში, შავშეთში, არტანში, არტანუჯში, ფოცხოვში** მცხოვრები ხიმშიაშვილები — ამ მხარეების ყოფილი გამგებლები — მძიმე პირობებში იმყოფებოდნენ. მალე თურქეთის მთავრობამ ისინი გადაასახლა მიდა თურქეთში და გაფანტა. შემდეგ წლებში ნელ-ნელა წელში გაიმართნენ და სტამბოლში, ანკარაში, ბურსაში გადმოსახლდნენ, რათა შვილებისათვის მიეღებინებინათ შესაბამისი განათლება.

მელაათ ხიმშიაშვილმა დაამთავრა სტამბოლის უნივერსიტეტის პედაგოგიის ფაკულტეტი. მიიღო დანაყებითი სკოლის მასწავლებლის სპეციალობა. პენსიაზე გასვლამდე მასწავლებლობდა. ძალიან უყვარდა ბავშვები. თავის ენერჯიას უანგაროდ ახმარდა მომავალი თაობის აღზრდა — განათლების საქმეს. ნათესავების ბავშვებს ასწავლიდა ქართულ ენას, ქართულ წერა-კითხვას, საქართველოს ისტორიას. სე-



ლიმ ხიმშიაშვილის შთამომავლებში აღვივებდა ისტორიული სამშობლოს სიყვარულს. მთავრობისაგან მიღებული ჰქონდა სიგელები და ჯილდოები. სიკვდილამდე იღებდა დამსახურებული პედაგოგის პენსიას.

სარფის კარის გახსნის შემდეგ, 1990 წლის შემოდგომაზე, ძმის შვილიშვილთან, ენვერ ხიმშიაშვილთან ერთად, ესტუმრა სამშობლოს; მოიარა მშობლიური ადგილები. მომდევნო წლებშიც რამდენიმეჯერ გაახარა გული სამშობლოს ნახვით. მონატრების გრძობა მაინც დაუკმაყოფილებელი დარჩა. სულ ენატრებოდა მშობლიური კუთხე, სამშობლოს ღვლე-ღურდანი; ბარში — კოპნია ბათუმი, ლილისფერი თვალბატულა ზღვა. მთაში კი... ხულოს სასახლის ეზო — კარში გავლავაზე ოცნებობდა. შადრევანთან მდგარი ხეების ჩეროში ჩამოვდომა ენატრებოდა. სასახლის სასტუმრო დარბაზში მდგარ, პეტერბურგიდან პრინცესა ელიზავეტას მიერ ნაჩუქარ, პიანინოს კლავიშებთან გათამაშება სწყუროდა. პაპისულ მალალ სარკემო ჩახედვას ნატრობდა და თანაც ილიმბოდა: „— იმ სარკეში ჩემს ახალგაზრდობას დავინახავ... წლები მხრებიდან ჩამომცვივდება, ნოჭები გამისწორდება, კვლავ ისეთი მოსაწონი შევიქმნები, ოდესღაც თავიანთსმცემლებს რომ ვუნახივარ და ამდღერებულან: „მიყვარს ვარდი, მომწონს ია, ზეგის ქალმა გადამრია“—ო.

ენატრებოდა ხულო, სხალთა, ნიგაზეული; სხალთის წყალში ჩაძირული მთვარე; ხულოს სასახლის ბაღის ძველი შადრევანი, სხალთის ტაძარი, ხულოს ძველი მეჩეთი, წინაპართა საფლავები. ნაწყენი იყო: — საფლავის ქვები დაუგლეჯიათ, ხიმშიაშვილების საფლავები თითქმის ნაუშლიათ ხულოში, — შემომჩვილა ბევრჯერ... სოფელ ბაკოში, ხიმშიაშვილების სააგარაკო მამულში, ქოჩახის ლამაზ ჭალაში გაჭრილი დიდი პაპის — შერიფ — ბეგ ხიმშიაშვილის საფლავი ესიზმრებოდა. მწარედ დაიჩვილა კიდეც: „გავიგე, ვილაცხვებ საფლავის ირგვლივ გაშლილი ჭალა, საუკუნის მანძილზე მთის ნაირფერი ყვავილებით რომ ამკობდა ოხლად დარჩენილ საფლავს, კადაუბარავთ და საყანედ გაუხდია-

ლი დაუმკვიდრეს მის წამებულ სხეულს. შენი სამადლობელი სიტყვები საჯაროდ დღემდე არ მითქვამს; შენზე მიძვნილ გამოსათხოვარ სიტყვაში ვაბობ ამას და მეც, შენთან ერთად, მადლობას მოვასხენებ ნიგაზეული უშარიძების წინაპრებს, რომლებმაც იმ საშიშარ დღეებში, 1815 წლის ივნისის პირველ რიცხვებში, გაბედეს და უპატრონეს მტრისაგან განწირული სელიმის ნაწამებ სხეულს, გაპატრონებულ დაკრძალეს თავიანთ სასაფლაოზე; წამებულ გმირს ერთხელ კიდე დაუმტკიცეს თავიანთი ერთგულება. სხვანაირად არც იქნებოდა. უშარიძები იყვნენ სელიმ ხიმშიაშვილის მედროშენი, ფშაველი ვაჟკაცები, ფშავის სოფელ ოშარიდან მედროშეებდ მონვეული დიდი სელიმის მიერ. მათმა შთამომავლებმა, ნიგაზეულმა უშარიძებმა, დღემდე შემოინახეს ლეგენდებდ ქვეული ბევრი ისტორიული ცნობა დიდი სელიმის შესახებ. ჩემო მელაათ, შენს მაგივრად ყველას მე მოვასხენებ მადლობას დიდი წინაპრის სხოვნის ასე ლამაზად შენახვისათვის.

ჩვენო ძვირფასო ნათესავო, ქალბატონო მელაათ, თქვენს მაგივრად მადლობას მოვასხენებ, აგრეთვე, ყველას, ვინც გულში სათუთად ინახავს დიდი სახალხო გმირის სხოვნის და დღენიდაგ იღვწის ნიგაზეულში, ხულოში, სხალთაში, ქოჩახში და ცუული ხიმშიაშვილების საფლავების მოვლა — პატრონობისათვის; ნიგაზეულში და სხალთაში არსებული მუზეუმების მოვლა — შენახვისათვის; მადლობას მოვასხენებ შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, რექტორატს, რომელმაც ქართველი ხალხის ეროვნული გმირის სელიმ ხიმშიაშვილის სახელობის აუდიტორია გახსნა, რათა მომავალი თაობა უკეთ გაეცნოს აჭარის დიდებულ ისტორიას, აღიზარდოს სამშობლოს ერთგულ დარაჯად. მჯერა, ძვირფასო ქალბატონო, შენ მძღვე თანხმობას სამადლობელი სიტყვის სათქმელად, რადგან იცი, რომ მეც შორეული შთამომავალი, მეექვსე თაობის წარმომადგენელი ვარ, დიდი სელიმის ფესვებზე აღმოცენებული, რომელიც შევეცადე საზოგადოების წინაშე წარმოგიჩინა ამ

საც შენი და სელიმის შთამომავალთა მადლობა დავიმსახურე (სტატია დაიბეჭდა გაზეთ „საბჭოთა აჭარაში“, იხ. 25 აპრილი, 1989 წელი). სწორედ, ამ სტატისათვის მოძიებულმა ისტორიულმა წყაროებმა წარმოაჩინა დიდი ხანუშის ღვაწლი.

ჩვენო საყვარელო ქალბატონო მელაათ! ამ გამოსათხოვარ სიტყვაში მადლობა მინდა მოვასხენოთ თქვენცა და ენვერ ხიმშიაშვილსაც ერთი ცნობილი ლექსის გამო. თქვენმა

გულით როდი მედიმება ამდენი ხნით ნადევლანკრავს... გული აქით აღარ მიძლებს, შენთან ყოფნა მუდამ მნადის, შენს ნატვრაში გავათიე ცხრაჯერ ათი წელიწადი... რა იქნება, ჩემო ღმერთო, თაფლის სანთლად ჩამომღვენო; ხულოს ზეცა გადამხურო, ხულოს მინა წამახურო, რომ მშობლიურ აჭარაში ჩემი სული სანთლად ენთოს..

თურქეთიდან, საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტიდან ჩამობრძანებულმა მომხსენებლებმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრებმა — აკადემიის ვიცე პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა და აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გურამ ლორთქიფანიძემ; სელიმ ხიმშიაშვილის ბიოგრაფიასთან დაკავშირებულ ისტორიულ ადგილებში მოეწყო შესაბამისი ლონისძიებები. ჩვენი დიდი წინაპრის



სელიმ ხიმშიაშვილის შთამომავლები სტამბოლში

ცრემლიანმა მოგონებებმა, სამშობლოს სიყვარულით გაჯერებულმა საუბრებმა შემადლებინა დამენერა ლექსი „მენატრები, ჩემო ხულო“. იგი ჩემს პოეტურ ნააზრევთა შორის მარგალიტით მოსჩანს. მასში სამშობლოს მონატრების გრძობაა ლექსად ამეტყველებული. თქვენთან საუბრის გაგრძელება ამ ლექსს ვერ შეეძინა. ამიტომ პირველად რომ დაიბეჭდა, ავტორად შენ მიგიჩნიე, ჩემი გვარი დავმალე. თქვენ ამაზე მისაყვედურეთ სამართლიანად და აღმადგენინეთ ჩემი ავტორობა. მადლობას მოვასხენებ ამისთვის თქვენს ნათელ სულს. მაგრამ საქართველოში ზოგიერთებს არ მოეწონათ ეს და ჩემი კრიტიკა დაიწყეს. ქუთაისელი პროფესორი ავთანდილ ნიკოლეიშვილი სპეციალურად ამის გასარკვევად ჩაბრძანდა სტამბოლში, თარჯიმანის გამო ქართულად თავისუფლად საუბარი უკვე გიჭირდათ და გაგესაუბრათ ამ საკითხზე. თქვენ დაუდასტურეთ სინამდვილე, რომ ამ ლექსის ავტორი მე ვიყავი. ამიტომაც ვეღარ შეიტანა ეს ლექსი „ემიგრანტული პოეზიის ანთოლოგიაში“, ქუთაისში რომ გამოიცა.

ენვერ ბიძას სახლში გამართულ საუბრებში მოაზრებული ლექსი „მენატრები, ჩემო ხულო“ შენ ძალიან გიყვარდა და ხშირად მაკითხვინებდი. ამიტომ შენს გამოსათხოვარ ეს ლექსი უსათუოდ დაამშვენებს და შენს სპეტაკ სულს გაახარებს, რადგან ეს ლექსი შენ გეტყვებოდა, შენი გრძობებია ლექსად ამეტყველებული:

მენატრები, ჩემო ხულო, ჩემო მინა, ჭირნახულო; თეთრ სიზმრებში დანახულო, იქნებ ვეღარც გინახულო. ვეფერები სხალთას, თაგოს: მანდ ჩამოსვლა მიქადაგოს, დამაბრუნოს აჭარაში, უცხოეთში არ დამკარგოს... ფიქრის ფრთებით გადავსერავ, ნიგაზეულს, სარიჩარს, ვკოცნი მინას მონატრებულს, წყაროს, ყვავილს. ათასნაირს... სტამბოლს შუქი ეფინება, ჩემს თვალს კი ბინდი აკრავს,

...დამესიზმრე წუხელ, ხულო, მთის კალთაზე დახატულო, ჩემთვის ტაძრად შენახულო; მენატრები, ჩემო ხულო, თეთრ სიზმრებში დანახულო, ჩემი სულის გაზაფხულო! მკითხველს ეს პატარა ამბავი იმბოძავს მივანოდე, რომ ერთხელ კიდე ამ მოგონებთაც მინდოდა წარმომეჩინა თქვენი პიროვნების სიდიადე, ლამაზი სულიერი სამყარო. ოთხმოცდაცამეტი წლის მანდილოსნისთვის ხანდაზმული სიცოცხლე წუთის სოფლად ჩათვალა მაინც. 2015 წლის 5 მაისს წუთისსოფელს გამოეთხოვა შენი სპეტაკი სული; ზეციურ საქართველოში, წინაპრების დიდ ოჯახში დაიდო ბინა. თითქოსდა წუთში ჩაეტია შენი დღევრძელი სიცოცხლე. მშვიდობით, ჩვენი მხარის უღალატესო ასულო, დიდი გვარისა და ჯიშის წარმომჩენო, სამშობლოზე პაპაშენივით შეყვარებული ასულო.

შენი საფიცარი აჭარიდან გულითადად გეთხოვებთ ყველა შენი ჭირისუფალნი, ვინაც შენს სამგლოვირო თავყრილობას უნდა დავსწრებოდით და საქართველოდან სტამბოლში ჩამოტანილი ყვავილებით უნდა დაგვემშვენებინა შენი განსვენების უკანასკნელი ჟამი... ოცნებით ვეფერებით შენს თბილ საფლავს. იძინე მშვიდად, მშობელი მინის ნატრული, ქართული ჩუქურთმის მესაიდუმლე... ვაი, რომ შენი ტალანტი, ნიჭიერება სამშობლოს წინაშე გამოუვლენელი დარჩა.

... მშობლიურ აჭარაში გახსნილ მუზეუმებში იცოცხლებს შენი სული... გვეჯერა, აჭარის ხელისუფლება დაინტერესდება და ხიმშიაშვილთა გვარის ნატვრას სინამდვილედ აქცევს; დაბა ხულოში მდგარ 180 წლის ისტორიულ საგვარეულო შენობაში, შენი დიდი პაპის — დიდი სელიმის შვილის — ახმედის მიერ აშენებულ სახლში, ბინას დაიდებს „სელიმ ხიმშიაშვილის სახლ-მუზეუმი“; იგი გადაიქცევა ქართველი ახალგაზრდობის პატრიოტული სულისკვეთების სამჭედლოდ. მას დაამშვენებს სტამბოლელი ხიმშიაშვილების მიერ ნაჩუქრად ნაბოძები სამუზეუმო ნივთები. მათ შორის იქნება შენს ოჯახში ნაფერები ძვირფასი საგნებიც. ჩვენი კეთილად მოსავონარო ქალბატონო, მელაათ — ხანუშ! რარი-გად დაამშვენებს შენს მიმართ ნათქვამ გამოსათხოვარ სიტყვებს შენსათვის მიმართული დაღამებული გენიოსი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური სტრიქონები: „ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო, კურთხევა თქვენდა, ტკბილსახსოვარნო!“... შუშხანა ფშტაბარაძე

სხოვნის უკვდავყოფისათვის მოწყობილი შეხვედრები განხორციელდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელობით. ყველას გულითად მადლობას მოვასხენებთ ამ პატრიოტული შემართებისა და ყურადღებისათვის. თურქეთიდან ჩამობრძანებულ სტუმრებს შორის შენი ნათელი სახე არ ჩანდა მხოლოდ, რაც მეტად გულსატკეპნი იყო. გვეჯერა, დიდად გაიხარებდი დიდი პაპის სხოვნის ასე დაფასებისათვის...

ბედის უკუღმა ტრიალს რომ ასცდენოდა შენი ცხოვრება, ვინ იცის, როგორ ამაღლდებოდი საზოგადოებრივ სარბიელზე, დანიისა და რუსეთის სამეფო კარის, ხიმშიაშვილთა სახელოვანი გვარის შთამომავლო, მუსიკისა და მხატვრობის მოყვარე, დეკორატიული ქსოვისა და ქარგვის ოსტატო, ქართული ჩუქურთმის მესაიდუმლე... ვაი, რომ შენი ტალანტი, ნიჭიერება სამშობლოს წინაშე გამოუვლენელი დარჩა.



თო“... საფლავების პატრონობას ითხოვდა აქაურებისაგან. ქალბატონო მელაათ, სამშობლოს მონატრებით გულდამწვარო ჭირისუფალო, ბევრი ცრემლი გაქვს დაღვრილი შენი დიდი ბაბუსი — სახელოვანი სელიმ ხიმშიაშვილის საფლავზე, სოფელ ნიგაზეულში. შენ ბევრჯერ მადლობა დამაბარე ნიგაზეულელ უშარიძებზე გადასაცემად, რომლებმაც თავიანთ მიწაში, თავიანთ სასაფლაოზე გადმოასვენეს სოფელ ბაკოდან გულდაკოდილი სელიმის ცხედარი; სამუდამო სამყოფე-

სახელოვანი გვარის შვილთა მიერ სამშობლოსათვის განუხლები ღვაწლი. ბევრი რამ კიდეც წარმოსაჩენია.

ჩემო მელაათ, პირადად შენი დავალებით შევძელი სახელოვანი ქართველი მანდილოსნის, დიდი შერიფ ხიმშიაშვილის დედის, თავდადებული სელიმის რძლის, ჩვენი დიდი დიდების უდიდესი ხანუშ ბეჟანიძის პიროვნების წარმოჩენა. პირველად 1989 წელს ვუძღვენი სტატია ამ ღირსეულ მანდილოსანს: „დიდი ხანუში — აჭარის მმართველი“, რისთვის-







ეკონომიკური ზრდის ტემპი, ერთი მხრივ, დამოკიდებულია რესურსებისა და კაპიტალის რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე, მეორე მხრივ, ამ რესურსები კონკურენტუნარიანი საქონლის წარმოების უნარზე. რესურსულ პოტენციალში მინას, როგორც უეადო ეკონომიკურ აქტივს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

საქართველო უძველესი აგროკულტურის, ვაზისა და ხორბლის ქვეყანაა. ამიტომ მინა, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა და სოფელი, ქართველი კაცისათვის განსაკუთრებული ფასეულობებია. ათასწლეულების განმავლობაში საქართველოში სასოფლო-სამეურნეო წარმოებას თვითკმარი ხასიათი ჰქონდა. დიდი ილია შენიშნავდა: „მანამ ქვეყანა ქვეყანას ჰგავდა და ჭკუის მომკითხავი პატრონიცა ჰყავდა, ჩვენ მინა-წყალს ჩვენთვის სარჩო-საბადებელი არ დაჰკლებია“. მრავალსაუკუნოვანმა ისტორიულმა ძნელებდობამ და საბჭოთა პერიოდის ადმინისტრაციულ-მმართველურმა მმართველობამ ძლიერ დაზარალა ქართული სოფელი, მაგრამ იგი ბოლო დრომდე ინარჩუნებდა საზოგადოების ფუძე-ერთეულის სოციალურ ფუნქციას — გადარჩა და ქვეყანაც გადაარჩინა.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ მოსალოდნელი იყო, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოებასა და, ზოგადად, სოფლის განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობოდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ქვეყანას გააჩნია სასურსათო პროდუქციის წარმოების საკმაოდ დიდი პოტენციალი (ექსპერტთა შეფასებით, იგი საქმარისია 10-12 მილიონი ადამიანის გამოსაკვებად), მაგრამ, მიუხედავად ამისა, სურსათით თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი საქართველოში კრიტიკულ ნიშნულზე (0.5) ბევრად ქვემოთა და იმპორტზე დამოკიდებულების დონე შემცირების ნაცვლად, პერმანენტულად იზრდება.

ეს სრულიადაც არ უნდა იყოს გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენს ისედაც მცირემინარ ქვეყანაში, სახნავ-სათესი მიწების დაახლოებით 1/3 ანუ საშუალოდ 300,0 ათასი ჰა, ბოლო წლებში საერთოდ არ გამოიყენება.

საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ წლებში გამეფებულმა პოლიტიკურმა ქაოსმა და ეკონომიკურმა კოლაფსმა სოფელზეც მოახდინა უარყოფითი ზეგავლენა, რასაც მიმდინარე ეკონომიკური კრიზისის გარდა, საბჭოთა წლებში ჩამოყალიბებული ფსიქოლოგიური განწყობაც განაპირობებდა. როგორც ცნობილია, საბჭოთა იდეოლოგია და მმართველობის პრაქტიკა ზღუდავდა ადამიანთა კერძო ინიციატივას, ამცირებდა პიროვნულ პასუხისმგებლობას, რის გამოც გლეხს, ე.წ. საზოგადოებრივი, სინამდვილეში კი სახელმწიფოს მიერ მართული ინსტიტუტებისადმი (კოლმეურნეობა და სხვ.) მომხმარებლური დამოკიდებულება ჩამოუყალიბდა. დღეისათვის ადამიანებს უჭირთ იმის გათავისება, რომ ამერიკიდან თვითონ უნდა იზრუნონ ამ სოციალური მოწყობაზე და ამისთვის ფორმალური თუ არაფორმალური გაერთიანებები შექმნან. ექსპერტთა დასტურით, საზოგადოებრივი თუ ეკონომიკური საქმიანობისთვის გამიზნული კოლექტიური ერთობების (სასოფლო თემი, კოოპერატივი და სხვ.) შექმნა-ამოქმედების იდეას სოფლის მოსახლეობა ჯერ-ჯერობით უნდობლობით ეკიდება და ისევე იმის იმედად რჩება, რომ ოდესმე „კარგი გამგებელი“ („კარგი პრეზიდენტი“) მოუვლავს პრობლემებს.

1992-1998 წლებში გატარებული აგრარული რეფორმის I ეტაპზე ქვეყანაში გაუქმდა მინაზე სახელმწი-



# საინვესტიციო პრობლემები და პარსპექტივაები სოფლის მეურნეობის განვითარებაში

ფოს მონოსაკუთრება. გლეხობამ, გარკვეული ნორმის ფარგლებში, მინა მიიღო უფასოდ და ამით თითქოს ნერტილი დაესვა მინისაგან გლეხის გაუცხოების პროცესს. განხორციელდა ასევე ყოფილი საზოგადოებრივი მეურნეობის დემონტაჟი და სექტორის ცენტრალიზებული მართვის სისტემა შეიცვალა საკანონმდებლო და ეკონომიკური ბერკეტებით, მაგრამ რეფორმა ქვეყანაში ამაზე წინ არ წასულა.

აგრარული რეფორმის ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენდა საქართველოს პარლამენტის მიერ 2005 წელს მიღებული კანონი „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფ-

სოფლად საქართველოს მოქალაქეთა დაახლოებით 53 პროცენტი (ცხოვრობს. 1990 წელს, სოფლის მეურნეობაში დასაქმებული იყო 695,0 ათასი კაცი (დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის — 25,2%), დარგში ინარჩუნებოდა მშპ-ს 29,8%. 2010 წელს კი მთლიანად ეკონომიკაში დასაქმებული 1628.1 ათასი კაციდან, სოფლის მეურნეობაში დასაქმებული იყო 1010.9 ათასი კაცი, ანუ 62.1%, დარგში წარმოებულია მშპ-ის მხოლოდ 7.3% და შიდა ბაზრის მოთხოვნის მხოლოდ 12 პროცენტს აკმაყოფილებს. მასხადადამე, თუ 2010 წელს, 1990 წელთან შედარებით, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა ხვედ-

შეადგენს. თითქმის სამჯერ შემცირდა ბოსტნეულის წარმოება (641 ათასიდან 214 ათას ტონამდე), ოთხჯერ ხილისა (653 ათასიდან 181,2 ათას ტონამდე), ოთხჯერ და მეტად - ყურძნისა (620 ათასიდან 150,1 ათას ტონამდე), ექვსჯერ და მეტად - ციტრუსებისა (437 ათასიდან 70,9 ათასი ტონამდე). კლების ტენდენცია გრძელდება დღესაც. მნიშვნელოვნად დაბალია პროდუქციის ე.წ. დასაქონლების დონე, ანუ მოწეულ დოვლათში საქონლის, ბაზარზე გასაყიდად გატანილის წილი. 1989 წელს სოფლის მეურნეობის დასაქონლების დონე 82%-ს უდრიდა, 1998 წელს - 22%-ს, ამჟამად კი იგი 18%-ის ტოლია.



ლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ“. მიწის მესაკუთრეთა ასოციაციის მონაცემებით, კანონის მიღებიდან ორი წლის განმავლობაში სულ 460 ათასი ჰა მიწიდან პრივატიზებულია 83,9 ათასი ჰა, ანუ საპრივატიზებო მიწის 18 %. სხვაგვარად არც იყო მოსალოდნელი, რადგან, მინაზე, როგორც წარმოების ძირითად საშუალებაზე, ადგილობრივი აგრომეწარმეებიდან არ არის მოთხოვნა (რაზეც მეტყველებს ასობით ათასი ჰექტარი დაუმუშავებელი მიწა). ეს კი, როგორც წესი, მამინ ხდება, როცა წვრილგლეხური მეურნეობისთვის სამინამთმქმედო საქმიანობა არ არის მომგებიანი.

რითი წილი გაიზარდა 25,2%-დან 62.1%-მდე, მშპ-ის მოცულობაში სოფლის მეურნეობაში წარმოებული პროდუქციის ხვედრითი წონა 29,8%-დან 7.3%-მდე შემცირდა. დღესდღეობით სოფლად დასაქმებული ერთი ადამიანი დაახლოებით 70 აშშ დოლარის ეკვივალენტურ დამატებულ ღირებულებას ქმნის, რაც თავად მისი საარსებო მინიმუმის ტოლიც კი არ არის.

საყურადღებოა ისიც, რომ შემცირდა არა მარტო დამუშავებული მიწის ფართობი, არამედ მოსავლიანობაც: მაგ. თუ 1988 წელს ჰექტარზე 22 ტონაზე მეტი მარცვლეული მოდიოდა, დღეს იგი მხოლოდ 16-17 ტონას

ის ფაქტი, რომ ბოლო წლებში საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კულტურები სულ უფრო ნაკლებად მოჰყავთ, ექსპერტთა შეფასებით, წარმოებაზე განეული მაღალი დანახარჯებითა და უცხოურ პროდუქციასთან შედარებით მისი არაკონკურენტუნარიანობითაა გამოწვეული. ამის დაძლევა კი შესაძლებელია მსოფლიოში არსებული მონინავე ტექნოლოგიების ათვისებითა და დანერგვით, რაც, სხვა ფაქტორებთან ერთად, ინვესტიციების მოცულობასთან არის დაკავშირებული.

საქართველოში დანაზოგების დაბალი დონის, შემოსავლების მობილიზების შეზღუდული შესაძლებლო-

ბების პირობებში, ბუნებრივია, მკვეთრად იზრდება უცხოური დაფინანსებისა და ინვესტიციების როლი, რომლებიც ფიზიკური და ფინანსური კაპიტალის შეხიდეებით განაპირობებენ არა მარტო შესაძლებლობების, მატერიალური სიმდიდრისა და ახალი სამუშაო ადგილების გენერირებას, არამედ ხელს უწყობენ შრომის ნაყოფიერების ზრდას და დამატებითი ღირებულების შექმნას ე.წ. ექსტრაფინანსური სარგებლის და ტექნოლოგიური დიფუზიის ხარჯზე.

ტექნოლოგიური დიფუზია არის ახალი ტექნოლოგიების, ინოვაციების, მონინავე მენეჯერული გამოცდილების, პროდუქტიულობის ზრდის მასტიმულირებელი იდეებისა და ნოუ-ჰაუების გაზიარება და ტრანსფერი მიმღებ ქვეყანაში. აღნიშნული ტიპის ინვესტიციებს თან ახლავს მონინავე ცოდნა პროდუქციის გადამუშავების მეთოდების, პროდუქციის შეფუთვისა და დიზაინის, საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და, ასევე, ბაზრის განვითარებისა და სტრატეგიის შესახებ. ეს საწარმოო რესურსები და ნაკადები, როგორც წესი, შემოდინება ინვესტიციების თანადროულად, რაც უზრუნველყოფს პროექტების მდგრადობას და იძლევა ტექნიკური ინოვაციების ათვისების შესაძლებლობას. ტექნოლოგიურ ტრანსფერს თან ახლავს მიმღები ქვეყნის ადამიანური რესურსების განვითარებაზე ორიენტირებული უცხოელი ინვესტორების ინიციატივები, კერძოდ, ადგილობრივი მუშახელის შრომის ნაყოფიერების ზრდის ხელშეწყობი ტრენინგების ჩატარება, თანამედროვე მენეჯმენტის პრაქტიკისა და სხვადასხვა საორგანიზაციო ხასიათის ინოვაციების დანერგვა.

ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისიდან განსაკუთრებით იმატა ქვეყანაში უცხოური კაპიტალის მოდინება. მაგრამ ჩვენთვის ისეთ მნიშვნელოვან ექსპორტში, როგორც სოფლის მეურნეობა, მაგ. 2011 წელს შემოვიდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მთელი მოცულობის მხოლოდ 1,4% (მანამდე კიდევ უფრო ნაკლები შემოდოდა). აქვე უნდა აღინიშნოს იმ მოსალოდნელ სამშროუბათა შესახებ, რაც თან ახლავს უცხოურ ინვესტიციებს მიწის რესურსებში. მსოფლიოს მრავალი რეგიონის ნიადაგური პოტენციალი ვედარ უზრუნველყოფს მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებას სურსათზე, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს იმ ექსპანსიონისტურ პოლიტიკას, რასაც ზოგიერთი ქვეყანა ეწევა მიგრაციის თუ სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვის კუთხით. კახეთსა და შიდა ქართლში ჩინელმა, ინდოელმა, არაბმა და ებრაელმა ინვესტორებმა რამდენიმე ათასი ჰექტარი მიწა უკვე იყიდეს. ეს ქვეყნები გამოირჩევიან უმწვეველი ჭარბმოსახლეობითა და მცირემინიანობით. ამავე დროს ფლობენ მზარდ საფინანსო რესურსებს და უკვე მსოფლიოს მასშტაბით ახორციელებენ მიწის, ძირითადად სასოფლო-სამეურნეო სავარგულების შესყიდვას.

ეს სამიში პროცესი შედარებით წყნარად და უზმაუროდ მიმდინარეობს, მაგრამ თავისი მნიშვნელობით, ქვეყნის ვინაობისა და რაობის დაკარგვის ტოლფასია. საქმარისია ჩვენში შეიქმნას დემოგრაფიული ექსპანსიონისტი საჭირო ბაზები, რაც სულ რამდენიმე ასეულ ათასი ადამიანის დამკვიდრებას გულისხმობს, რომ პროცესები არა მხოლოდ შეუქცევად ხასიათის მიიღებს, არამედ ყველასთვის ხილულიც გახდება (ამ პოლიტიკის უკიდურესი მაგალითია სამხრეთ აფრიკის ჰოლანდიელი კოლონისტების, ბურებისთვის მიწის

(გაგრძელება მე-11 გვერდზე)



(დასაწყისი მე-9 გვერდზე)

# საინვესტიციო პრობლემები და პერსპექტივები სოფლის მეურნეობის განვითარებაში

დიდი მასივების თითქმის უსასყიდლოდ მიცემა). ამიტომ დაუშვებელია, რომ ქართული გლეხობა მოწყდეს მიწას, არ იყოს მისი მესაკუთრე და პროდუქციის მთავარი მწარმოებელი.

უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე სოფლის მეურნეობის სავარგულების გაყიდვის გამართლება ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვის საბაზით, მიუღებელია, რადგან სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, განსხვავებით ურბანული მიწისაგან, არ არის ინვესტიციაცხადი.

მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფო განსაკუთრებით ფრთხილად ეკიდება სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებისთვის მიყიდვის საკითხს.

თანამედროვე არც ერთ ქვეყანაში, უმცირესი გამონაკლისის გარდა, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის მიწაზე საკუთრების უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას (jus utendi et abutendi) და ის რეგულირდება სხვადასხვა ნორმატიული აქტით. მაგალითად, ევროკავშირის რიგ ქვეყნებში სახელმწიფო დონეზე (ირლანდია, ჩეხეთი) იკრძალება ან იზღუდება სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის გადაცემა. მსგავსი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი თურქეთში, ავსტრიაში, იაპონიაში, ისლანდიაში, ახალ ზელანდიაში, მექსიკაში. აშშ-ში, კანადასა და ავსტრალიაში მსგავსი შეზღუდვები ძირითადად რეგიონულ დონეზე წესდება.

ზოგან ეს პროცესი ირიბი მექანიზმებით არის უზრუნველყოფილი. მაგალითად, ევროკავშირში, მართალია, მიწაზე საკუთრების უფლების მოპოვების მხრივ წვერი სახელმწი-

ლია, ამით დაშვებულია უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვა, მაგრამ ყოველი კონკრეტული შემთხვევა განიხილება სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ. სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებისათვის მიყიდვის საკითხი აშშ-ში ძირითადი რეგულირდება, ცალკეული შტატის დონეზე. ამის შედეგია ის, რომ აშშ-ში სასოფლო-სამეურნეო მიწის მხოლოდ 1%-ზე ნაკლები ეკუთვნის უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც ძირითადად ევროპელები და კანადელები არიან.

საქართველოსათვის არსებულ რთულ პოლიტიკურ და სოციალურ ვითარებაში გარკვეული გონივრული წინაპირობების გარეშე დიდი ოდენობით მიწების გაყიდვა საშიში მოვლენაა. უმჯობესია, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გრძელვადიანი იჯარით გაცემა.

„ქართველების ძალა ძველისძველ დროიდან მიწის დამუშავება, მეურნეობაა, ჩვენი ძალა იმთავითვე სოფელი იყო“, — ბრძანებდა ილია. მისი რწმენით, ეს მიწა ქართველთა ერთადერთი საცხოვრისია და ამ მიწაზე მთავარი შემოქმედი და პროდუქციის შემქმნელი ქართველი კაცი უნდა იყოს.

მიწა, საკუთრების სხვა ობიექტებისაგან განსხვავებით, ერთდროულად წარმოადგენს საკუთრების ობიექტს, წარმოების საშუალებას და სახელმწიფო ტერიტორიასაც. ამდენად, მიწის საკუთრებას, გარდა ეკონომიკური და იურიდიული დატვირთვისა, პოლიტიკური ასპექტიც გააჩ-



რავი ქონების უზრუნველყოფით გაცემული კრედიტები (1017,9 მლნ.ლარი) 18,5 ჯერ აღემატება სოფლად გამენარმეო საქმიანობისათვის გაცემული სესხების მოცულობას. თუ ამ თანხებს სასოფლო კომლთა რაოდენობაზე გადავიანგარიშებთ, გამოგვივა, რომ 2011 წლისათვის ბიუჯეტიდან სოფლის მეურნეობაზე გამოყოფილი თანხიდან ერთ ოჯახზე 71-72 ლარი მოდის. 2009-2011 წლებში ჩადებულმა ინვესტიციებმა კომლზე 58-59 აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო საბანკო კრედიტების რაოდენობამ - 71 ლარი.

უცხოელი ინვესტორები უფრო მნიშვნელოვან როლს შეასრულებენ სოფლის მეურნეობის განვითარების პროცესში.

ევიქრობთ ეს საკითხისადმი სწორი მიდგომაა.

ამჟამინდელი ხელისუფლების წინა საარჩევნო ერთ-ერთი მთავარი დაპირება სწორედ სოფლის მეურნეობაზე ზრუნვა გახლდათ, რაზეც ქართული სოფელი დიდ იმედს ამყარებს. კერძოდ, უნდა შექმნილიყო სოფლის მეურნეობის მილიარდიანი ფონდი, რომელიც დააფინანსებდა ამ სფეროში მრავალ პროექტს და ასევე, უზრუნველყოფდა შეღავათიანი კრედიტების გაცემას გლეხებისა და ფერმერებისთვის.

გარკვეული ძვრები ამ კუთხით შეინიშნება: დაფუძნდა სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი, რომელიც იქნება მთავარი ინსტრუმენტი საგაზაფხულო პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი „მცირე-მიწიანი ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტისა“ და „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ განსახორციელებლად.

### შემუშავდა 3 სახის საკრედიტო პროდუქტი:

1. 6-თვიანი უპროცენტო სასაქონლო კრედიტი (განვადება) მცირე ფერმერებისთვის 5 000 ლარამდე, უზრუნველყოფის გარეშე;
2. საშუალო და დიდი ფერმერების შეღავათიანი კრედიტი უზრუნველყოფა 5 000-დან 1 000 000 ლარამდე, წლიური — არაუმეტეს 7-8%-სა;
3. სასოფლო-სამეურნეო სანარმოების დაფინანსება - გრძელვადიანი და მოქნილი კრედიტი, არაუმეტეს

600 000 აშშ დოლარისა, საშუალოდ — წლიური 3%.

ამოქმედდა საგაზაფხულო პროგრამა, რომელიც ბიუჯეტიდან ფინანსდება და ითვალისწინებს მცირე-მიწიანი ფერმერისა და გლეხისთვის ხელისა და მიწის სხვა სამუშაოების ტექნიკურ უზრუნველყოფას. გლეხებს, ასევე, საშუალება ეძლევათ, შეიძინონ სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, თესლი და სასუქი.

გათვალისწინებულია რაიონებში სასაწყობო მეურნეობებისა და გადამამუშავებელი საწარმოების მშენებლობა.

გადამამუშავებელი საწარმოს ასაშენებლად მსურველს შეუძლია სესხად აიღოს მლნ ლარამდე (უფრო მეტი ღირებულების სასოფლო-სამეურნეო პროექტებს საინვესტიციო ფონდი განახორციელებს). ეს არის გრძელვადიანი, 5-7-წლიანი მაქსიმუმ 15%-იანი სესხი. თუ 15%-იანი სესხი დამტკიცდა, ფონდი შედის თანადაფინანსებაში და ეს პროცენტები 3%-მდე ჩამოჰყავს. ამით მსურველი იღებს იაფ, გრძელვადიან რესურსს, მაგრამ სესხი გაიცემა მხოლოდ ბიზნესორიენტირებულ და მდგრად პროექტებზე. ამ პროექტებმა სოფლის მეურნეობის გრძელვადიან განვითარებას უნდა დაუღოს საფუძველი.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთ-ერთ პრიორიტეტს ქვეყანაში საირიგაციო და სადრენაჟო სისტემების ფუნქციონირების გაუმჯობესება წარმოადგენს.

სოფლის მეურნეობის სამინისტრო აქტიურად მუშაობს სხვადასხვა მიზნობრივი პროგრამის განხორციელებაზე: მემცენარეობის, მეცხოველეობის, გადამამუშავებელი დარგებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების, სურსათის უვნებლობის, ქართული ენდემური ჯიშების გადარჩენის, ქართული ხორბლის წარმოების ზრდის, ვაზისა და ხეხილის სანერგე მეურნეობების ჩამოყალიბების მიმართულებებით.

რა თქმა უნდა, თუ წარმატებით განხორციელდა ყველა ეს პროექტი და მით უმეტეს თუ შეივსო სოფლის მეურნეობის განვითარების მილიარდიანი ფონდი, შესაძლებელი იქნება სოფლის მეურნეობისა და სოფლის ფეხზე დაყენება.

**მურმან ციცილაძე,**  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი



ფობების მოქალაქეები გათანაბრებული არიან ერთმანეთთან, მაგრამ დასუსტებული შედეგები თითქმის შეუძლებელს ხდის მესამე ქვეყნების რეზიდენტების მიერ მის შექმნას.

ახალ ზელანდიაში შექმნილია მიწის დაცვის ტრინიზალი და ეს ორგანო კონკრეტულად განიხილება 2 ჰაზე მეტი მიწის შესყიდვის მსურველთა ყოველ განცხადებას, დადებითი გადაწყვეტილება კი უამრავი პირობის შესრულებაზე დამოკიდებულია. აღსანიშნავია ისიც, რომ თვით ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორისაც არსებობს ამგვარი შეზღუდვები. მაგალითად, ირლანდიის კანონმდებლობის მიხედვით ამ ქვეყანაში 7-წლიანი ცხოვრების ვადაა საჭირო იმისათვის, რომ მიწის შექმნის მსურველმა განცხადებით მიმართოს მიწის კომისიას.

საფრანგეთში შეზღუდულია ვენახების (ფრანგი ერის სიამაყის საგანი) და განსაკუთრებით, დიდი ფართობის მიწის შექმნა.

აშშ-ში 1978 წელს მიღებულ იქნა ფედერალური აქტი სოფლის მეურნეობაში საზღვარგარეთული კაპიტალდაბანდებების შესახებ. მართა-

ნია. ესაა სახელმწიფოს ტერიტორიული შეუვალობა ანუ სუვერენიტეტი.

მსოფლიო გამოცდილება მოწმობს, რომ იმ ქვეყნებში, სადაც სოფლის მეურნეობამ განვითარების მაღალ დონეს მიაღწია, ეს, როგორც წესი, ხელისუფლების მოწადინებით და აქტიური მეცადინეობით ხდებოდა და ხდება.

ევროპის ქვეყნების შთამბეჭდავ მიღწევებს სოფლის მეურნეობაში თავიდანვე სოლიდური საფინანსო ბაზა დაედო საფუძვლად. დღესდღეობით ევროკავშირის ყოველწლიური ბიუჯეტის თითქმის ნახევარი (დაახლ 50 მილიარდი ევრო) კვლავ სასოფლო-სამეურნეო წარმოებასა და სოფლის განვითარებაზე იხარჯება.

აღსანიშნავია, რომ 2011 წლისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან სოფლის მეურნეობისათვის გამოყოფილი იყო 55 348 ათასი ლარი, რაც საბიუჯეტო ასიგნებების მხოლოდ 0,8%-ს შეადგენს.

ბანკების მიერ სოფლის მეურნეობაზე გაცემული სესხები კრედიტების მთლიანი მოცულობის 1,0%-ს შეადგენს. მხოლოდ მოსახლეობაზე უძ-





# დ ა ს კ ა ტ უ ლ ა

ჭოროხის აუზის ტოპონიმები ამ ვადოსურ მხარის ეკლესია-მონასტრების და ციხე-კოშკების ნაშთებთან ერთად, ყველაზე მკაფიო ქართული კვალია მთელ რეგიონში. აქ დღემდე შემორჩენილია უსაზღვროდ ბევრი სახელი ხეობისა თუ სოფლისა, მისა თუ გორაკისა, ტყისა თუ მინდვრისა, სათიბისა თუ ჭაღისა, მდინარისა თუ ნაკადულისა, ყანისა თუ ბაღისა, ნაკელესიარისა თუ ნაციხარისა...

თაობათა მესხიერებაში გამოტარებული ტოპონიმები შეგვახსენებენ ბრძოლის და მარცხის ისტორიას: **ნადარბაზევი, ნასოფლაკი, ნაყორალი, ნაფუძარი, ნაურმალი, ნაყანვარი, ხანძართი, ნახრაკი, პარტახი, ვერანაბალი...**

ტოპონიმები ყველაზე რწმინდი და ნამეხის ცრემლიან თავდადასავალს: **ცროსადარი, გოგლიჯვარი, ყვავინჯვარი, ჯუარი, ნატაზრევი, ნაქილისვი, ნაჯვარევი, ვანთა, გირგონშიდა...**

ტოპონიმები აცოცხლებენ ყოველდღიურ, ჩვეულებრივ ყოფის, გარემოსთან პარმონიულად ცხოვრების სურათებს: **საკირი, თიხნარა, ახი, თეთრიყანა, დიდაგარა, სამზიერი, სადგომი, სათხე, მამული, ვაზია, დიდენახი, ლოხინევი, კარავეთი, აბანოთვალი, მაღლისა, ქურციკეთი, წყარო...**

ქართულ წყაროებში ნახსენებ არაერთ საგეოგრაფიო სახელს დღემდე ეძიებენ მეცნიერები კლარჯეთსა თუ შავშეთში, ტაოსსა თუ სპერში. 2010 წლის ზაფხულში ჩვენც მიზანმიმართულად ვეძებთ „დახატულა“ და ემოციის გამობატვაც არ მოგვრდება, როცა კლარჯეთის სოფელ ზემო ფორთაში ერთმა ენანყლიანმა ბერიკაცმა დაგვიდასტურა ამ ტოპონიმის არსებობა.

საქმე ისაა, რომ მესხეთის საეპისკოპოსოთა აღწერილობაში, XV-XVI საუკუნეების დოკუმენტში, რომელიც XIX საუკუნის ბოლოს გამოაქვეყნეს ჯერ დიმიტრი ბაქრაძემ, მერე თედო ფორდანიამ, აწიხი და ტბეთის ეპარქიების შესახებ ნათქვამია: „**ანჩილის სამწყსო:** სამწყალს აქეთი სანეცხას და ოპიზას შუა დახატულა, იმის ქვემოთი ნიგალის ხევი, გაღმა და გამოღმართი გონიას სამხურამდინ.

**მტბევარის სამწყსო:** დახატულას ზედათი ანაკერის აქეთი სულა შავშეთი მიჭიხინთ ბატონის კათალიკოსის, იმ ქვეყნის იასაულიც ის ყოფილა, აჭარა დანდალოს ზეთი მას ჰქონია, დანდალოს ქვემოთი აჭარა ქუთათელის სამწყსო ყოფილა“.

პავლე ინგოროყვა მიჩნევდა, რომ მოცემულ დოკუმენტში სიტყვა „სანცხა“ უნდა ნავიკითხოთ, როგორც „ხანძარი“. ეს მოსაზრება დიხაჯ საინტერესოა, მაგრამ ამჯერად ჩვენი საუბრის თემა არის **დახატულა**, რომელიც, როგორც ვხედავთ, აქ ერთერთ ორიენტირადაა მოხსენიებული. ამ ტოპონიმს ახსენებს ნიკო მარი თავის „შავშეთისა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიურებში“ თუმცა მხოლოდ ახსენებს და ფაქტია, რომ როცა 1904 წელს იმოგზაურა კლარჯეთში, „დახატულად“ სახელდებულ ადგილას არ მისულა.

2010 წელს, როცა დავადასტურეთ ამ ტოპონიმის არსებობა თანამედროვე კლარჯეთშიც, ობიექტური მიზეზების გამო დახატულამდე ვერ მივაღწიეთ, სამაგიეროდ, 2011 წელს მოვიხატულეთ ეს ადგილი. მცირე ექსპედიციის წევრებს (**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები: მალხაზ ჩოხარაძე, მამია ფალავა, ზაზა შამუკაძე; ოპერატორი: ნიკა ტულუში**) თითქოს განსაკუთრებული მოლოდინი არ გეკონია, მაგრამ ჯერ ერთი, აწიხა და ტბეთის ეპარქიების საზღვრებთან დაკავშირებული საკითხები ყოველთვის იქნება ინტერესის საგანი - ეს ხომ გრიგოლ ხანძთელის „ათორმეტ სავანეთა“ მხარეა. მეორეც, ფორთაში გვითხრეს, - კლდეზე ძველი ნახატები შემორჩენილია - რაც ჩვენს ცნობისმოყვარეობას კიდევ უფრო აღვივებდა.

დახატულა ოპიზა-ფორთის გადასახ-

ვეიდან 3,5 კილომეტრზეა. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ფორთისკენ მიმავალი საავტომობილო გზის პირას დაყუდებულ კლდეზე მართლაც არის გამოსახულება (უფრო ზუსტად, აქ დღეს მხოლოდ გამოსახულებათა ნაშთებია დარჩენილი), გამოსახულებები ადამიანის ხელით ჩანს შექმნილი (და არა, ვთქვათ, ატმოსფერული ნალექების ზემოქმედების შედეგი), ადგილის სახელწოდებაც მათ უნდა უკავშირდებოდეს. ამასთან, ეს ცნობილი და რაღაცით გამოჩეული ადგილი იქნებოდა, რაბან ორიენტირადა დასახული. შესაძლოა, ნინათ აქ გამოქვაბულიც ყოფილიყო (მაგალითად, ბერების სადგომი), რომელიც დროთა განმავლობაში ჩამოიშალა. ყოველ შემთხვევაში, დღეს გამოქვაბულის კვალი არ ჩანს. გამოსახულებათა დათარიღება ძნელია: ფაქტია, რომ XV-XVI საუკუნეების დოკუმენტში ტოპონიმი „დახატულა“ ნახსენებია; თუმცა, შესაძლებელია, ნახატები გაცილებით ადრე იყოს შესრულებული.

ამდენად, „დახატულა“ საინტერესო აღმოჩნდა არა მხოლოდ როგორც ორიენტირი აწიხისა და ტბეთის ეპარქიების საზღვართა გამიჯვინსათვის, არამედ, ასევე, როგორც იდუმალებით მოცული დღემდე შემორჩენილი ძველი საქართველოს ისტორიისა.

გამოსახულებასთან მიღწევა შეიძლება, თუმცა ერთობ ძნელი და სახიფათოა (კლდეზე აცოცხლავს შიშობა, ყოველ შემთხვევაში, ექსპედიციის რამდენიმე წევრმა ფორთულ გამოყოფილი — **შემისთან ილმაზთან** ერთად, მოახერხა ეს, მაგრამ, როგორც შემდეგ დავადასტურებთ, უმჯობესია უკანა მხრიდან მოვლა), მკაფიოდ იქ არაფერი ჩანს, თუმცა, ადგილობრივები უფრო ქლესა და ბავშვს წარმოიდგენენ, ზოგჯერ გველის თუ თავგის გამოსახულებასაც...

რაც შეეხება ზემოხსენებულ დოკუმენტში მოცემულ ინფორმაციას და მასში მოხსენიებულ „დახატულას“ მნიშვნელობას აწიხისა და ტბეთის ეპარქიების საზღვართა დადგენისათვის:

აწიხის ეპარქია დაარსებული უნდა იყოს VI-VII საუკუნეებში. გრიგოლ ხანძთელის ეპისკოპოსის მთელ კლარჯეთ-შავშეთში ეს ერთი ეპარქია არსებობდა. მოგვიანებით, X საუკუნის დასაწყისში დაარსდა ტბეთის ეპარქია და ბუნებრივია, საზღვრებაც დაკანონდა. „ათორმეტ სავანეთა“ მხარე, რომელიც უშუალოდ ესაზღვრებოდა მტბევარის სამწყსოს, აწიხის ეპარქიაში შედიოდა. ეს ნათლად ჩანს მერჩულეს თხზულებებიდან, როცა იგი აწიხის ეპარქიის სასულიერო იერარქიის ზოგიერთ საკითხს ეხება და აღნიშნავს, რომ კლარჯეთის უდაბნოთა მღვდლები და დიაკვნები „ანჩელთა ეპისკოპოსთათაგან იკურთხებიან“. მეორე მხრივ, ეპისკოპოსად კურთხევისთვის მონასტრთა თანხმობა აუცილებელი იყო: „უკუეთუ სწორედ ყოველთა მათ უდაბნოთა ნამებამ არა აქუნ და ნიგნი ყოველთაძ ქუმმარტი სანამებელი, კათალიკომან საეპისკოპოსოსისა მის ხელთა დასხმამ ეპისკოპოსად არა ინებოს, არცა სათონ არნ სამართლითა საბჭოთა“.

გარდა ამისა, ნანარმოების ბოლოს, თხზულების შექმნის თანამედროვე მოღვაწეთა ჩამონათვალში, სხვა სასულიერო პირთა შორის მერჩულე (რომლის სამყოფელი ხანძთის მონასტერი იყო) ასახელებს ანჩელ ეპისკოპოს მაკარს (და არა, ვთქვათ, მტბევარს).

ნიშნდობლივია აგრეთვე, რომ გრიგოლის სიკვდილის შემდეგ (ძნელი სათქმელია, მაშინვე თუ გარკვეული ხნის შემდეგ) ზემოხსენებულ სავანეთა არქიმანდრიტობა სწორედ ანჩელ ეპისკოპოსზე გადავიდა. გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის დროს მთელი კლარჯეთი „ათორმეტ უდაბნოთა“ მხარის ჩათვლით და, მასთან ერთად, მთელი შავშეთი, აწიხის ეპარქიას შეადგენდა. ბერების ღვანლი თანაბრად სწავდებოდა კლარჯეთსაც და შავშეთსაც. ყოველ შემთხვევაში — უდაბნოთა მომიჯნავე რეგიონს.

X საუკუნის დამდეგს, აშოტ კუხის დროს (895-918) დაარსდა ტბეთის ეპარქია, რომლის საზღვრები უშუალოდ ემიჯნებოდა „ათორმეტ უდაბნოთა მხარეს“. შავშელი ერისმთავრების ძალაუფლება თუ გაგლემა ამავე პერიოდში ათორმეტ სავანეთა მხარეზეც ვრცელდებოდა. ყოველ შემთხვევაში, ისინი საკმაოდ აქტიურად მოღვაწეობდნენ ამ მხარეში, ენეოდნენ აღმშენებლობით საქმიანობას და აქვეა მათი საძვალე, თუმცა, როგორც ითქვა, კლარჯეთის სავანეები აწიხის სამწყსოა.

რამდენად შეესაბამება ზემოთ მოყვანილ დოკუმენტში მოცემული XV-XVI საუკუნეების აღწერილობა IX-X საუკუნის რეალობას, ძნელი სათქმელია. ბუნდოვანია ისიც, თუ რას უნდა ნიშნავდეს „დახატულას ზედათი“. კერძოდ, დოკუმენტში ნათქვამია, რომ „დახატულას ზედათი“ ტერიტორია მტბევარის სამწყსოა, ხოლო დახატულას „ქვემოთი“ ნიგალის ხევი — აწიხის ეპარქიაში შედის. ნიგალის ხევი რომ დახატულადან დასავლეთითაა, ფაქტია. მაშასადამე, თუ „იმას (დახატულას) ქვემოთი“ დასავლეთის ნიშნავს, „დახატულას ზედათი“ აღმოსავლეთ მიმართულებას უნდა მიუთითებდეს; მაგრამ ამ შემთხვევაში ტბეთის ეპარქიაში ექცევა ხანძთა, წყაროსთავი, მიძნადორი, მერე და ბარეთელთა.

მაშასადამე, არ არის გამორიცხული, რომ აწიხისა და ტბეთის ეპარქიების საზღვრები XV-XVI საუკუნეებში განსხვავდებოდა X-XI საუკუნეების რეალობისგან, ან შეიძლება დავუშვათ, რომ ზემოხსენებულ დოკუმენტში „დახატულას ზედათი“ მეტისმეტად ზოგადი მნიშვნელობითაა გამოყენებული და სულაც არ ნიშნავს ნიგალის ხევის მოპირდაპირე რეგიონს.

ალბათ უფრო სწორი იქნება, თუ ამ უკანასკნელ მოსაზრებას დავუჭერთ მხარს და დავუშვებთ, რომ „დახატულას ზედათი“ ნიშნავს დახატულას ჩრდილოეთ მხარეს, ხოლო „ათორმეტ უდაბნოთა“ (ანუ აწიხის ეპარქიის ამ სექტორის) საზღვარი ალბათ შავშეთ-კლარჯეთის ბუნებით საზღვართან გადიოდა (აქ შეიძლება გიორგი ყაზბეგის გახსენებაც: „შავშეთის სახელით იგულისხმება სივრცე, რომელიც მოთავსებულია არსიანის, კარჩხალისა და იალანუსჩამის მთის ქედებს შორის. ყველა ეს მთა მნიშვნელოვნად მაღალია ზღვის დონიდან. ამ მთებს შორის ჩაკეტილი სივრცე, თუ ზოგადად ვიტყვი, წარმოადგენს ერთ დიდ ქვაბულს და შესაძლოა გავყოთ ორ ნაწილად: მთიანი და დაბლობისა...“), რაც ამ სექტორში დაახლოებით კარჩხალის სათავეს, ჩიხისხევის მიღმა თუ საზღვრებს გადაღმა სივრცეს გულისხმობს. ამ შემთხვევაში დაბუჯიერებით რაიმეს მტკიცება ძნელია და, ამასთან, როგორც ითქვა, XV-XVI საუკუნეების რეალობა, შესაძლებელია, განსხვავდებოდა IX-X საუკუნეების სურათისაგან.

**მალხაზ ჩოხარაძე**  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი



გადაღმა - სრულიად მოულოდნელი შიხვიდრა ქართულ ტოპონიმთან კლარჯეთში.




დახატულა - გამოსახულებები კლდეზე



ტბეთი



ფორთელთან - მარცხნიდან ზაზა შამუკაძე, მამია ფალავა, მალხაზ ჩოხარაძე, შიშნისთან ილმაზი...



რუკა - კლარჯეთის სავანეები

**რედაქტორი:**  
ნიკა სანიკიძე

**საუბილინო:**  
ნესტან მამუჭაძე



**saredaqci o kol egia:**  
nana cecx1 aZe, inga Samil iSvil i naTia wkl aSvil i, nino dol iZe murman gorgoSaZe, daviT baraTaSvil i guram Caganava, SoTa mamul aZe gugul i dumbaZe, nugzar RomiZe

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „საგოზლოში“, 2 18 07 76; 5 99 95 31 90 მის.: ქ. თბილისი, რობაქიძის 7